# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ხუთშაბათი, 20 თებერვალი, 2014 წელი.
№36 (7417)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge   ვებ გვერდი: www.open.ge   ფასი 50 თეთრი.


## განცხადებების გამომქვეყნების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.
ტელეფონები: 299 62 77; 5 99 79 76 79.

## პარლამენტში ტროას ცხენით შეპარულები




4

## რადა სამართლიანია ხელშეუხებელი სასამართლო?!

3

## რა კავშირი აქვს სპორტთან პოლიტიკას?

5



## ქართველები სასამართლოსა და მიტინგების მეშვეობით სტალინის დაბრუნებას მოითხოვენ

8



## რა და როგორ შეემატება წლეულს ქვეყნის მხარეების, ქალაქების, დაბებისა თუ სოფლების ინფრასტრუქტურას და მოსახლეობას

6

## დამსაქმებლებმა „ხვრელები“ მოძებნეს

7

## ნუ დაივიწყებთ წარსულს!

9

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

## ◎ პრეზიდენტი

# მინდა, იანუკოვიჩს მოვუწოდო, ყველა ძალისხმევა იხმაროს მომიტინგეთა მიმართ ძალადობის შეჩერებისთვის



**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თავის უკრაინელ კოლეგას მომიტინგეების მიმართ ძალადობის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. საქართველოს პრეზიდენტმა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა.**

— მინდა, გამოვხატო უაღრესი შეშფოთება უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო. ამ მოვლენების შედეგად ათობით ადამიანი გარდაიცვალა და ასობით ადამიანი დაიჭრა. მინდა, გამოვუცხადო სამძიმარი გარდაცვლილთა ოჯახებს, მათ შორის საქართველოს მოქალაქის ზურაბ ხურციას ოჯახს. მიმაჩნია, რომ სიტუაცია კიევში საგანგაშოა. მინდა, მოვუწოდო ჩემს კოლეგას, ვიქტორ იანუკოვიჩს ყველა ძალისხმევა იხმაროს, რათა შეაჩეროს ძალადობა მომიტინგეთა მიმართ და დაიწყოს ოპოზიციასთან დიალოგი. ვუერთდები ჩემი კოლეგების, ევროპის ლიდერების პოზიციას, რომ მოხდეს სიტუაციის დეესკალაცია და ოპოზიციასთან დასხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან. ჩვენ მანამდეც გავუსვით ხაზი, რომ უმაღლეს ხელისუფალთათვის ყველაზე მაღალი ღირებულება არის ადამიანთა სიცოცხლე და ქვეყნის ერთიანობა და სუვერენიტეტი. მე იმედი მაქვს, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ამ ჭრილში გადაწყდება, — განაცხადა მარგველაშვილმა.



# სერგეი ლავროვი: რუსეთი თავის გავლენას გამოიყენებს, რათა უკრაინაში მშვიდობამ დაისადგუროს

**რუსეთი მთელ თავის გავლენას გამოიყენებს, რათა უკრაინაში მშვიდობამ და სიმშვიდემ დაისადგუროს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.**

ამასთან, სერგეი ლავროვმა აღშფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინის ოპოზიციის ლიდერები ადეკვატურად არ რეაგირებენ რადიკალების ქმედებებზე.

„თანმიმდევრულ რეაქციას ვერ ვხედავთ ვერც ევროპელი პოლიტიკოსებისა და სტრუქტურების მხრიდან, რომლებიც უარს ამბობენ იმის აღიარებაზე, რომ უკრაინაში რადიკალური ძალების ქმედებებზე მთელი პასუხისმგებლობა ოპოზიციას აკისრია. რუსული მხარე მოითხოვს, რომ „მაიდნის“ ლიდერებმა შეაჩერონ სისხლისღვრა თავიანთ ქვეყანაში, დაუყოვნებლივ განაახლონ დიალოგი კანონიერ ხელისუფლებასთან მუქარისა და ულტიმატუმების გარეშე“, - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაში.

## ◎ კანონმდებლები

# გია გაჩეჩილაძემ უმრავლესობა დატოვა

**დეპუტატმა გია გაჩეჩილაძემ კოლეგებს უმრავლესობის დატოვების შესახებ აცნობა. „დღეს „მწვანეთა პარტიისთვის“ მნიშვნელოვანი დღეა, რადგან პარტია ოფიციალურად ტოვებს უმრავლესობას“ , — განაცხადა გია გაჩეჩილაძემ სესიაზე და შესაბამისი განცხადებისთვის დროის გამოყოფა მოითხოვა.**



პარლამენტის თავმჯდომარემ მისი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. უსუფაშვილმა განმარტა, რომ ასეთი შინაარსის განცხადების გაკეთება სესიაზე რეგლამენტით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მას შეეძლო განცხადება პარლამენტის შენობაში გაეკეთებინა.

ცნობისთვის, გაჩეჩილაძის უმრავლესობისადმი განაწყენების და უკმაყოფილების მიზეზები პარტიის დაფინანსების საკითხში მდგომარეობს.

გია გაჩეჩილაძე კოალიციის წევრია, როგორც ინდივიდუალური პირი — „მწვანეთა პარტია“ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არ შედის.

გაჩეჩილაძემ საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად ფრაქცია „ქართული ოცნებაც“ დატოვა.

# „ესაა, კარგი სროლა ვიცი?!“

**გიორგი ცაგარეიშვილმა აკაკი ბობოხიძეს პარლამენტის სხდომათა დარბაზში ბოთლი ესროლა. დაპირისპირება საარჩევნო კოდექსის განხილვის დროს მოხდა.** დაპირისპირების მიზეზი გახდა ის, რომ გია ცაგარეიშვილმა ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა. ამას მოჰყვა აკაკი ბობოხიძის რეპლიკა. მან ცაგარეიშვილს ცუგა უწოდა, რასაც ცაგარეიშვილის მიერ აკაკი ბობოხიძის მისამართით „ბორჯომის„ ბოთლის სროლა მოჰყვა. ბობოხიძეს ბოთლი არ მოხვედრია.



გიორგი ცაგარეიშვილი კი მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა სხდომათა დარბაზიდან გაიყვანეს.

## ◎ მეწარმის გულისტკივილი

# არ მინდა, „ოცნებამ“ ნაცების შეცდომები გაიმეოროს

**ახალი მთავრობა, ისევე როგორც მისი წინამორბედი, ხშირად ადგილობრივი წარმოების განვითარების პრიორიტეტულობაზე გვესაუბრება. ამას წინათ პრემიერ-მინისტრთან მეწარმეთა შეხვედრაც სწორედ ამ ეგიდით მოაწყვეს. თუმცა, ბევრნი გულდაწყვეტილი დაგვტოვეს, განსაკუთრებით ისინი, ვინც შეხვედრაზე არ მიგვიწვიეს. სამაგიეროდ მას ბლომად სტუმრობდნენ ბანკების ასოციაციათა ხელმძღვანელები და მსუქან-მსუქანი ბანკირები, რომლებმაც თავის დროზე „ქართუ ბანკის“ მიმართ ჩადენილ დანაშაულზე გაჩუმება ამჯობინეს, რის გამოც ივანიშვილმა მათ ამას წინათ სრულიად სამართლიანად უსაყვედურა კიდეც.**

პურზე უფრო მეტად ადგილობრივი და პირველადი პროდუქტი მე არ მეგულება, თუმცა რატომ არ ჩათვალეს საჭიროდ თათბირის ორგანიზატორებმა შეხვედრაზე ჩვენი მიწვევა, გაუგებარია. როგორც შევიტყვეთ, ამის მიზეზი ახალი ბიზნესომბუდსმენი ყოფილა. თუმცა, ძველიც არ იკლავდა თავს მეწარმეთა პრობლემებითა და საწარმოებში სიარულით, ისე კი ყოველთვის თავს უკანტურებდა წინა მთავრობის ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

მეწარმეებს გვეგონა, ახალი მთავრობა რომ მოვიდა, გადახედავდნენ მაღალ სამეწარმეო ტარიფებს, ენერგეტიკაში დაგროვილ უამრავ პრობლემას (საქართველო გაზის სიძვირით ერთ-ერთი ლიდერია), რის გამოც ქართული პროდუქცია მეზობელი ქვეყნების პროდუქციას კონკურენციას ვერ უწევს.

რთულია ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონები, ხოლო ვალდებულებები — ცალმხრივი. წინა ხელისუფლებას ერთთავად ეჩქარებოდა, მარტო 2013 წელს სამჯერ შეცვალეს სალარო-აპარატები და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები, პასუხისმგებლობას კი მარტო ჩვენ გვაკისრებდნენ. აბსოლუტურად მოუმზადებელნი შევხვდით ინტერნეტპროგრესული აღრიცხვების სისტემას. სულაც არ ვართ პროგრესის მოწინააღმდეგენი, მაგრამ გაუგებარია, რატომ გვეკისრებოდა პასუხისმგებლობა ცალმხრივად იმ დროს, როდესაც ინტერნეტი წამდაუწუმ ითიშებოდა. ამან ისედაც რთული სამეწარმეო გარემო კიდევ უფრო გაართულა.

სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური პრობლემები ყოველთვის სჯაბნის ეკონომიკურ პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზების ძიებას. საგადასახადო კოდექსი კვლავაც რთული და ბუნდოვანია, კვლავ მაღალია ენერგო და სამუშაო ტარიფები, ტრანსპორტირების ხარჯები, რის გამოც ჩვენში როგორც ნედლეულის, ისევე აქ დამზადებული პროდუქციის ფასები მაღალია.

სწორედ ამიტომ გაჩნდნენ ფირმები, რომლებიც „შემოვლითი გზებით“ შემოტანილ პროდუქციას „მუქთად“ სთავაზობენ მომხმარებლებს თავიანთი ჯიხურებიდან. ყველასთვის ცხადია, ვინც უსვამს თავზე ხელს ამ ფირმებს. ამის მაგალითად გამოდგება ჩვენი პურის სავაჭრო ჯიხურები გადასასვლელ ხიდზე, რომლებიც ღამით გაუფრთხილებლად დაგვინგრიეს და იქ შემდგომ „ნუგეშის“ ჯიხურები ჩადგეს. გაუგებარია, რა დააშავეს იმ მეწარმეებმა, რომლებსაც წინ მათ დაუკითხავად ჯიხურებს უდგამენ (ჯიხურები იქ უნდა დაიდგას, სადაც ახლო-მახლო მაღაზიები არ არის). არადა, ასეთი სავაჭრო ობიექტები სწორედ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში მაღაზიების წინ მომრავლდნენ, რაც ბიზნესმენებს ხელოვნურად ერთმანეთთან აპირისპირებს.



თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რჩეული ობიექტებისთვის არჩევნების წინ ფიქსირებული გადასახადებიც კი შემოიღეს რაზეც მეწარმეები წლების მანძილზე ოცნებობდნენ (რა თქმა უნდა, არჩევნებზე ხმების მისაზიდად). ამავე მიზნით, არჩევნების წინ ქალაქში იბარტყეს თონეებმაც. თუმცა, ცხადია, ვერც ერთი მათგანი ადგილზე პროდუქციის რეალიზაციით თავს ვერ გაიტანს. ეს სუფთა ფალსიფიკაციაა, რასაც მრავალი პურის მცხობელი დაგიდასტურებთ. ეს ამ ბიზნესში ზურგში ლახვარის ჩაცემას უდრის, რადგან მეწარმეები უთანაბრო სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

ასე გაგრძელება შედეგს არ გამოიღებს, შეკითხვები საგადასახადო თემაზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. ბოლოს და ბოლოს სადავო საკითხების განხილვები რატომღაც შეაჩერეს, ეტყობა, იმდენად სადავო რამ დაგროვდა, რომ აღარ სურთ ამ თემასთან შეხება. არადა სხვაგვარად ბიზნესში სამართლიანობის აღდგენა წარმოუდგენელია. ნუთუ არ დადგა დრო იმისა, რომ ბიზნესომბუდსმენმა შეადგინოს დაპატიმრებულ და პროვოკაციებით დაყაჩაღებულ ბიზნესმენთა, ცალკეულ ორგანიზაციათა სია და შევიდეს მთავრობაში მათ მიმართ საფინანსო ამნისტიის განხორციელების წინადადებით?

არადა, ხომ ფაქტია, რომ ბიზნესი ქვეყანაში სულს ღაფავს. **დღეს ბევრმა ქვეყანამ ეკონომიკური კრიზისის გამო დღგ შეაჩერა, ბევრგან კი კვების პროდუქტებზე ეს გადასახადი 10 პროცენტს არ აღემატება, რაც მათი პროდუქციის ფასებზე აისახება კიდეც.** სწორედ ამიტომ გაივსო ჩვენი დახლები სომხური, რუსული, აზერბაიჯანული, თურქული ნაწარმით. **ჩვენთან კი მეწარმეებს მაღალ საურავებსა და ჯარიმებს, რთულ საგადასახადო კოდექსსა და გაზრდილ წყლისა და ენერგოტარიფებს გვთავაზობენ.** სიტყვით ვითომ ბიზნესის მომხრეებად გვაჩვენებენ თავს, საქმით კი მიწასთან გვასწორებენ.

გული მტკივა, როცა ვისმენ ქვეყნის დამაქცევარი ნაცები „ოცნებას“ იქით რომ ედავებიან და უნიათო მთავრობად მოიხსენიებენ. არ მინდა, ახალმა ხელისუფლებამ ნაცების შეცდომები გაიმეოროს და მეწარმეობა ძველებურად უპატრონოდ მიატოვოს. **თუ მთავრობა დანაპირებს შეასრულებს და მეწარმეებს მუშაობის პირობებს შეგვიქმნის, დარწმუნებული ვარ, ბიზნესი სწრაფად განვითარდება, ეკონომიკაც მოღონიერდება და ხალხიც სულს მოითქვამს.**

**მალხაზ დოლიძე,**
**მეწარმე.**

## ◎ დედაქალაქი

# გადადგეს ქალაქის მთავრობა და ბიუჯეტს დავამტკიცებთო

**თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისის თავმჯდომარის მიხეილ ქავთარაძის განცხადებით, საკრებულოს უმრავლესობა ბიუჯეტის პროექტს იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს , თუ თბილისის მთავრობა გადადგება.**

ქავთარაძის თქმით, უმცირესობის ახალი ინიციატივა მათთვის სიუპრიზია, თუმცა, უმცირესობისაგან შეთავაზებულ ყველა ვარიანტს კოლეგებთან ერთად განიხილავს. ქავთარაძემ დასძინა, რომ ბიუჯეტის პროექტის შედგენას თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი მოსახლეობასთან ერთად გეგმავდა, ახლა კი ბიუჯეტის შედგენა ისევ საკრებულოს დაუბრუნდა.

ქავთარაძემ აღნიშნა, რომ რეგლამენტის მიხედვით, კანონი მათ ბიუჯეტის პროექტში შენიშვნების შეტანის შესაძლებლობას აძლევს.

— ბიუჯეტს პროექტს უნდობლობა მესამედ გამოვუცხადეთ. ამიტომ ჩვენ შევადგინოთ ბიუჯეტი და სევდია უგრეხელიძემ და მისმა გამგებლებმა ხარჯონ იგი, მე როგორც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ნამდვილად არ მივიღებ ამაში მონაწილეობას. არანაირად არ მივცემთ საშუალებას, ბიუჯეტი ხარჯონ. კარგად ვიცი, ყველაფერს გააკეთებენ, რომ ბიუჯეტი მივიღოთ. ქალაქს ნამდვილად უნდა ჰქონდეს ბიუჯეტი, მაგრამ გიგი უგულავას მიერ დანიშნულ მთავრობას უნდობლობას ვუცხადებთ, გადადგნენ თანამდებობებიდან და შემდეგ დავამტკიცებთ ბიუჯეტს. დაინიშნოს ტექნიკური მთავრობა საკრებულოსთან შეთანხმებით, რომელსაც საზოგადოება ენდობა, — აღნიშნა მიხეილ ქავთარაძემ.

მისივე თქმით, ბიუჯეტის 1/12 არის 60 მილიონი და თბილისისთვის ყოველთვიურად ეს თანხა პრობლემების მოსაგვარებლად საკმარისია.

მიხეილ ქავთარაძე ისან-სამგორში 300-მდე პირისთვის სოციალური პაკეტის შეჩერების საკითხის შესწავლასაც შეეხო.

მან განაცხადა, თებერვლის დასაწყისში, ისნის რაიონში 94 ამხანაგობის თავმჯდომარემ და სამგორში 205-მა ამხანაგობის თავმჯდომარემ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიიღეს წერილები, რომ მათ პენსია და სხვა სოციალური მომსახურების პაკეტები შეუჩერდათ.

ქავთარაძემ აღნიშნა, რომ ამხანაგობების თავმჯდომარეებს წახალისებისათვის განკუთვნილი თანხები ხელფასის სახით დაერიცხათ, რის გამოც, მათ სოციალური პაკეტები გაუუქმდათ. ქავთარაძე მიმართავს სამართალდამცავებს, შეისწავლონ ეს საკითხი.

საკრებულოს უმრავლესობის წევრმა ქავთარაძემ აღნიშნულ ფაქტს შეგნებული საბოტაჟი და პროვოკაცია უწოდა. მან აღნიშნა, რომ ამის გამო 300-მდე ადამიანმა უკმაყოფილება გამოხატა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ.

**ინტერპრესი**

ფორუმი



# რა გზით ივლის საქართველო 2020 წლამდე?

## იდეები, იმედები და... ეკონომიკა

**როგორ, რა გზით განვითარდება საქართველო და რა გათვლები აქვს მთავრობას 2020 წლამდე? — ამ გლობალურ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფორუმზე: „ეკონომიკური ზრდის გამოწვევები საქართველოსთვის“. მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი — ასე შეაფასეს შეხვედრა თავად მთავრობის წარმომადგენლებმაც, მას საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად ორგანიზებას უწევდა მსოფლიო ბანკის ჯგუფი. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად ჩამოვიდა მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ჰანს თიმერი.**

პრემიერის შესავალი სიტყვის შემდეგ ფორუმი ჟურნალისტებისთვის დახურულ ფორმატში წარიმართა, თუმცა ითქვა, რომ იმსჯელებდნენ საქართველოს მთავრობის მიერ ერთი წლის წინათ მომზადებულ დოკუმენტზე, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია — **„საქართველო 2020“.**

დოკუმენტი ერთობლივად შეიმუშავეს: მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა, ექსპერტებმა, ეროვნული ბანკის და ბიზნესის სექტორმა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მით უმეტეს, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა.

* * *

ირაკლი ღარიბაშვილმა საუბარი წარსულის გახსენებით დაიწყო და აღნიშნა: **„არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ჩვენი მთავრობის პრიორიტეტი არის ეკონომიკის აღმავლობის მიღწევა. წინა ხელისუფლებას, როგორც იცით, გამოცხადებული ჰქონდა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ იყო ასე. მაშინ უხეშად ერეოდნენ ბიზნესსაქმიანობაში, რომელმაც თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო. მათ თავი მოჰქონდათ იმ ციფრებით, რომელიც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს გამოხატავდა, თუმცა სურათი აბსოლუტურად განსხვავებული იყო; ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე არ აისახებოდა“.**

და რა არის ახალი ხელისუფლებისთვის გამოწვევა? (გამოწვევა და არა პრობლემა, ვინაიდან ამ უკანასკნელს თანამედროვე მსოფლიოში რატომღაც უფრო რადიკალურ ფაქტად აღიქვამენ...) როგორც პრემიერი ამბობს, მთავარი გამოწვევა ის არის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და წინსვლა რეალურად შეეხოს თითოეულ ადამიანს, თითოეულ ოჯახს. **„ხელისუფლების ამოცანაა ისეთი გარემო შექმნას, სადაც ყველა მეწარმე ბიზნესის კეთების ერთიან წესებს დაემორჩილება. გასულ წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად გაუქმდა ზოგიერთი ისეთი რეგულაცია ან მარეგულირებელი ინსტიტუტი, რომელიც წარმოუდგენელია, არ არსებობდეს ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ქვეყანაში, და რისი ამბიციაც ჩვენ გვაქვს“,** — დასძინა მან.

ინკლუზიური ეკონომიკა, ინკლუზიური ზრდის მიღწევა და ა. შ. მოკლედ, „ინკლუზიური“ არაერთხელ ახსენა პრემიერმა: **„ამისთვის საჭიროა აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმების განხორციელება. უნდა ვისარგებლოთ საერთაშორისო გამოცდილებით და გავიზიაროთ სხვა ქვეყნების წარმატებული რეფორმები. კარგი იქნება თუ გავაგრძელებთ დიალოგს სხვადასხვა სამინისტროსთან კონკრეტულ რეფორმებზე“,** — აღნიშნა მან.

რაც მთავარია, კონცეპტუალური დოკუმენტი მზად არის. მასში კარგად არის გაწერილი, რა უნდა გააკეთოს ქვეყანამ ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად. ახლა მთავარია, რამდენად შეძლებს მთავრობა დაპირებების ეფექტიან შესრულებას და ხომ არ გადაუხვევს დეკლარირებულ იდეებს? თორემ საქართველოში ყველა მთავრობა ხომ თავისებურად კარგ დოკუმენტებს ქმნიდა!

ეტყობა, ესეც კარგად გაუთავისებია ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც დასავლელი მეგობრების გასაგონად ასეთი რამ თქვა: **„რა თქმა უნდა, საჭიროებები და სურვილები ყოველთვის აღემატება შესაძლებლობებს, ამიტომ ჩვენ მიერ დახარჯული ყოველი თეთრი უნდა დაითვალოს, ხოლო განხორციელებული რეფორმა — კარგად შეფასდეს, რათა მაქსიმალური ეფექტი მივიღოთ. ნებისმიერი პოლიტიკის გატარება შესაძლებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობის პირობებში. ასე რომ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჯანსაღ ფისკალურ პოლიტიკას“.**

ფისკალური პოლიტიკა ნამდვილად არ იყო ოპტიმისტური გასულ წელს, როცა ოპონენტთა თქმით „პირველად“ გაირღვა ბიუჯეტი ვარდების რევოლუციის შემდეგ. ამ დროს რატომღაც ავიწყდებათ 2009 წელი, როდესაც სახელმწიფო ხაზინა ლამის დაცარიელდა და ის რეალურად დეფიციტური უნდა ყოფილიყო, თუმცა, ციფრების თამაშის მოყვარულმა მაშინდელმა მთავრობამ სტატისტიკა სხვადასხვა ლავირების გზით ადვილად შეცვალა(!).

რა იქნება ახლო მომავალში? პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა, რომ ხელი შეეწყობა ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსებას (სწორედ ეს არის ინკლუზიური ეკონომიკის მთავარი შემადგენელი). **„ადგილობრივმა ბიზნესმა უნდა დაასაქმოს ადამიანები, — აღნიშნა ღარიბაშვილმა, — სოციალური დახმარებები უფრო მიზანმიმართული უნდა გახდეს, მაგრამ სოციალური პროგრამები არ არის კეთილდღეობის საფუძველი. მთავარია, სამუშაო ადგილების შექმნა, რათა ადამიანებმა თავიანთი შრომის ანაზღაურებით გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები. შრომის ბაზარზე პრობლემას წარმოადგენს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი. ადამიანებს განათლება აქვთ იმ სფეროში, რომელზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით“,** — დასძინა მან.

ძალიან გაკვრით, თუმცა, იმედისმომცემად, ახსენა პრემიერმა სოციალური დახმარებების თემა, განსაკუთრებით პენსია, — რომელსაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი მოთმინებით ელოდება. მან ახსენა, რომ აქტიური საუბარი მიმდინარეობს საპენსიო რეფორმის გატარებაზე და ამ მიმართულებით დაგეგმილია ღონისძიებების გატარება.

**„საქართველო უნდა გახდეს რეგიონული ლოჯისტიკური ჰაბი (ცენტრი)“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა. მისი თქმით, საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობის გამოყენება სწორედ ამ მიმართულებით შეიძლება, იმის გარდა, რომ ჩვენს ქვეყანას ტრანზიტული ფუნქცია აქვს. ამისთვის საჭიროა განვითარებული ინფრასტრუქტურა, ჯანსაღი ენერგეტიკული სექტორი, მომსახურების სფეროს მაღალი დონე და კონკურენტუნარიანი კადრები რეგიონის მასშტაბით. გეგმა უდავოდ ამბიციურია.

რას ნიშნავს იყოს საქართველო ლოჯისტიკური ჰაბი? პრემიერის ახსნა ასეთია: **„ეს გულისხმობს ექსპორტზე დაფუძნებულ ეკონომიკურ ზრდას და უმუშევრობის შემცირებას. ამ ტრანსფორმაციის საფუძველი უნდა გახდეს ღია ეკონომიკა, განვითარებული ინფრასტრუქტურა და ვაჭრობის ხელშემწყობი ლოჯისტიკური სერვისები“.** მაგრამ იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკონომიკური აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას დრო სჭირდება.

* * *

ფორუმზე რამდენიმე საათი მსჯელობდნენ ზემოთ ჩამოთვლილ დეტალებზე. ცხადია, ყველა კარგი იდეა მხოლოდ ფურცელზე დაიწერა, თუმცა, როგორ შეეცდებიან მთავრობის წევრები ჩანაფიქრის განხორციელებას, ამისთვის არსებობს დღევანდელი დღე, ხვალინდელი, ზეგინდელიც და ასე შემდეგ... 2020 წლამდე დიდი დროა!

**თეა მოსია**

სარჩელი

# რატომ სამართლიანია ხელმიუწვდომელი სასამართლო?!

**საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლს უკავშირდება. საუბარია იმაზე, რომ კანონიერ მესაკუთრეს სახელმწიფომ ქონება შესაძლოა ისე ჩამოართვას, რომ მას გასაჩივრების შანსიც არ დაუტოვოს. სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე ხელი მიუწვდებოდეს ნებისმიერ ადამიანს.**

წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: ვთქვათ, ვინმეს ათხოვეთ ავტომანქანა, რითაც მან დანაშაული ჩაიდინა; ამ შემთხვევაში მას თქვენი ავტომანქანა ჩამოერთმევა, როგორც დანაშაულის საგანი ან იარაღი. მოვლენათა ამგვარ განვითარებას, სადაც რეალური მესაკუთრე ზარალდება, სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს. ამ ნორმის თანახმად, **„დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას“.**

18 თებერვალს გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელით სახალხო დამცველი მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან კანონიერ მფლობელობაში“. ამით სახელმწიფოს დარჩება უფლება, რომ ქონება მხოლოდ რეალურ მესაკუთრეს ჩამოართვას. როგორც ევროკავშირის პროექტის — „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერის“ — უფროსი სამართლებრივი ექსპერტი გიორგი ბურჯანაძე განმარტავს ჩვენთან საუბრისას, კანონის მოქმედი ჩანაწერი მესაკუთრეს არ უტოვებს სამართლებრივ მექანიზმს, რის საშუალებითაც ის შეძლებდა საერთო სასამართლოებში თავისი კანონიერი ინტერესების დაცვას: **„ამ შემთხვევაში ჩვენი მთავარი მიზანია, რომ მესაკუთრეს პროცედურული გარანტიები ჰქონდეს. სასამართლო პროცესზე უნდა ხდებოდეს მისი ინტერესების წარმოსახვა. მას შესაძლებლობა უნდა მიეცეს, თქვას: მე არანაირი ბრალი არ მიმიძღოდა... როცა ავტომანქანა ვათხოვე, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის დანაშაულს ჩაიდენდა“...**



გიორგი ბურჯანაძეც აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას და სახალხო დამცველის 18 თებერვლის განცხადებაც გვამცნობს, რომ სარჩელი კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით არის შედგენილი. კონსტიტუციის ამ მოთხოვნის თანახმად, **„ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.**

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი გიორგი გოცირიძე ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის სადავო მუხლი მართლაც საჭიროებს სათანადო ყურადღებას, რადგანაც, ხშირ შემთხვევაში, კანონიერი მესაკუთრეები აბსოლუტურად დაუცველნი რჩებიან — სამართლებრივი ბერკეტების გარეშე:

**„ასეთი შემთხვევები ძალიან იყო მომრავლებული, როდესაც, მაგალითად, ტაქსისტის კლიენტი გადაზიდავდა ნარკოტიკულ საშუალებას, ვთქვათ, ამ დროს მას დააკავებდა პოლიცია. ამ შემთხვევაში მძღოლს ჩამოართმევდნენ ავტომანქანას, რადგანაც ეს ავტომანქანა დანაშაულის ჩასადენად იყო გამოყენებული. ასეთი შემთხვევები ძალიან იყო გახშირებული, როდესაც კეთილსინდისიერი მესაკუთრე, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა დანაშაულის ჩადენასთან, კარგავდა თავის საკუთრებას“.**

და თუკი კვლავ სახალხო დამცველის 18 თებერვლის განცხადებას დავუბრუნდებით, ომბუდსმენის აზრით, **„მიუხედავად იმისა, რომ სადავო აქტი არ შეიცავს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ამკრძალავ პირდაპირ დებულებას, მთლიანი ინსტიტუტი (არამესაკუთრისთვის ქონების ჩამორთმევა) არაკონსტიტუციურია, რადგან მესაკუთრეს არ უზრუნველყოფს შესაბამისი პროცედურული გარანტიებით - სასამართლოს მეშვეობით დაიცვას თავისი საკუთრების უფლება“.**

თუკი საკონსტიტუციო სასამართლო დაინახავს კავშირს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მეორე ნაწილსა და კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილს შორის, ომბუდსმენის სარჩელის საფუძველზე დაიწყება საკითხის არსებითი განხილვა. სასამართლოს ამისათვის 9-თვიანი ვადა აქვს, გაგრძელების პერსპექტივით.

**ლელა კუნჭულია**

№36. ხუთშაბათი, 20 თებერვალი, 2014 წელი.




# პარლამენტში ტროას ცხენით შეპარულები

**საქართველო პარადოქსების ქვეყანაა. პარადოქსებისა, რადგანაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხალხი თეთრ რაშზე ამხედრებულ ოცნების პრინცს ელოდა, ხელში კი ტროას ცხენში ჩამალული მახინჯი გნომები შერჩა.**

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ ხელიდან უშვებს შანსს, რომ ყოფილიყო პოსტსახელისუფლებო პარტია.**

განცხადება ამასთან დაკავშირებით, ბერძენიშვილმა „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გააკეთა.

**„ნაციონალური მოძრაობა ხელიდან უშვებს იმ შანს, რომელიც მათ მიეცათ: ყოფილიყვნენ სერიოზული პოსტსახელისუფლებო პარტია, პარტია ხელისუფლების შემდეგ, ჩვენ ამას ვგულშემატკივრობდით. მაგრამ, სამწუხაროდ რებრენდინგი, რომელიც უნდა მომხდარიყო „ნაციონალურ მოძრაობაში“, ვერ მოხდა“, —** აცხადებს ბერძენიშვილი.

პრინციპში ყველამ კარგად ვიცით, ვინც არიან მმართველი პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი, ე.წ. „ინტელექტუალური“ ნაწილის, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები. ვიცით მათი იდეოლოგია, მსოფლმხედველობა. მათი დამოკიდებულება ეკლესიასთან, მართლმადიდებლობასთან, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიების სტატუსთან. ვიცით მათი გამონათქვამები ილია ჭავჭავაძის შესახებ. ვიცით, თუ „ვისი გორისანი“ არიან და „ვისი ძუძუ უწოვიათ“.

სწორედ ამიტომაც იყო, რომ თითქმის მაშინვე, როგორც კი ბიძინა ივანიშვილმა თავისი პოლიტიკური გუნდი წარადგინა და ამ გუნდში მთავარ პოლიტიკურ ძალად რესპუბლიკელები დასახელდნენ, სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ გაჩნდა ჯგუფი სახელწოდებით „ბატონო ბიძინა, გადახედეთ თქვენს გარემოცვას“. სამწუხაროდ ამ ჯგუფის წევრთა აქტიურობა, მათი წუხილი, მიწოდებული ინფორმაცია და რესპუბლიკელების მხილების მცდელობა არავინ ყურად არ იღო და დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

რესპუბლიკელების „წყალობით“ სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად მივიღეთ ყბადაღებული კოჰაბიტაცია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო დაპირებიდან გამომდინარე, უკვე 116 დღეა, რაც დამთავრდა.

ამ დაპირებაზე მართლაც დიდ იმედებს ამყარებდნენ „ქართული ოცნების“ ფანები. „აი ნახეთ, წავა მიშა და ვნახავთ ნაცების ბუმბულს გაშლილ გაფანტულს ველადაო“, იძახდნენ და ელოდნენ. ჩვენც ველოდით. ველოდით და ამ ჭირის — ნაციონალური მოძრაობის, როგორც პოლიტიკური ძალის მოცილების ნაცვლად, მისი გადარჩენის გეგმა მივიღეთ.

ბატონო ლევან, თუ შეიძლება აგვიხსენით, რას ნიშნავს ფრაზა: **მათ მიეცათ შანსი, ყოფილიყვნენ სერიოზული პოსტსახელისუფლებო პარტია?**

პირველი და მთავარი, რაც გვაინტერესებს, არის ის, თუ ვინ მისცა მათ ეს შანსი?

საქართველოს მოსახლეობას 2012 წლის პირველ ოქტომბერს მათთვის ეს „შანსი“ არ მიუცია. პირიქით. ხალხი ყოველდღე მოითხოვს მათ გასამართლებას. სამართლიანობის აღდგენას.

რას ნიშნავს ფრაზა: **ჩვენ ამას ვგულშემატკივრობდით.**

ვინ „ჩვენ“? ვინ ხართ ის ხალხი, ვინც მკვლელებს, რეკეტიორებს, მოძალადეებს, ყოვლად გარყვნილ და გათახსირებულ უსქესო, ურწმუნო და უჯიშო არსებებს **გულშემატკივრობთ?**

**„მე ძალიან ხშირად მიწევს იმის თქმა, განსაკუთრებით აქეთ ყოფნისას, ევროპაში, ამერიკაში, რომ ნაციონალური მოძრაობის, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა“** (დ. უსუფაშვილი. 2012 წლის 17 აპრილი რადიო „თავისუფლების“ პრაღის შტაბ-ბინა).

დიახ, 17 აპრილი. ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებულ აქციამდე ორი დღით ადრე. აქციამდე, რომელზეც ისინი თავიანთი პოლიტიკური ძალის რებრედინგის დასაწყისს გეგმავდნენ.

**ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მინდა ვიკითხო: არის თუ არა ეს ღალატი?**

დიახ, არც მეტი და არც ნაკლები — ჩვეულებრივი ღალატი?

მისცემდა თუ არა საბურთალოს ამომრჩეველი დავით უსუფაშვილს ხმას, ეს განცხადება 2012 წლის 30 სექტემბერს რომ გაეკეთებინა?

აირჩევდა თუ არა მაჟორიტარ დეპუტატად საგარეჯოს ამომრჩეველი თინა ხიდაშელს, რომ სცოდნოდათ, რომ მათი რჩეული 2013 წლის სამუშაო 102 დღეს ბიუჯეტის ხარჯზე საზღვარგარეთულ მივლინებებში გაატარებდა? (ფაქტობრივად ყოველი მესამე დღე, ქალბატონი თინათინი უცხოეთში იმყოფებოდა, სადაც დაახლოებით 88 000 ლარი დახარჯა).

კი ბატონო, იაროს, ოღონდ გვითხრას, რა შედეგი მოუტანა მისმა ვოიაჟებმა საგარეჯოს რაიონს? როდესაც 88 000 ლარი იხარჯება, შედეგი სულ ცოტა 88 000+1 ლარი მაინც უნდა იყოს. არადა ამ თანხით საგარეჯოში ორი მცირე საწარმო აშენდებოდა და რამდენიმე ადამიანი დასაქმდებოდა.

საპრეზიდენტო არჩევნების წინ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოიყვანა 2012 წლის პირველი ოქტომბრის ეიფორიიდან და სხვადასხვა კვლევის მიხედვით, სულაც არ აპირებდა იმ შედეგის „დადებას“, რომელიც თურმე „ქართული დემოკრატიის მთავარი ამოცანა“ ყოფილა. ზუსტად არ ვიცი, რა საუბრები იყო რესპუბლიკური პარტიის კულუარებში, მაგრამ ლევან ბერძენიშვილის ნათქვამმა **„ბურჯანაძეს ბაქრაძე მირჩევნია. ასეა იმიტომ, რომ ბაქრაძე რუსების პოლიტიკას არ ატარებს**— ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

**„ხელისუფლებამ და საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტონ, საქართველო უფრო მნიშვნელოვანია თუ მიხეილ სააკაშვილი“.**

ბატონო ლევან, თქვენი არ ვიცი, მაგრამ საზოგადოებამ უკვე დიდი ხანია გადაწყვიტა, თუ ვინ უფრო მნიშვნელოვანია. საზოგადოებამ ისიც დიდი ხანია გადაწყვიტა, ხართ თუ არა თქვენ ხელისუფლება და პირობას გაძლევთ, რომ ამის პასუხს ძალიან მალე მიიღებთ.

ლევან ბერძენიშვილის „გულისწყვეტას“ საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელებში, მაგრამ პოლიტიკოსთაგან კომენტარი მხოლოდ დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გააკეთა.

**„ვფიქრობ, ამ განცხადებამ და ამ გოდებამ „ნაციონალური მოძრაობის“ ვერგაძლიერების გამო, ნამდვილად უნდა მიგვაღებინოს გადაწყვეტილება, რომ ქვეყანაში მოვითხოვოთ ისეთი პარლამენტი, რომელიც რეალურად ასახავს საქართველოს მოსახლეობის განწყობას.**

**აუცილებელია, დაისვას საკითხი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ და დღევანდელი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ამ განცხადებამ, ვფიქრობ, ძალიან ბევრი ადამიანი უნდა დაარწმუნოს ამაში“.**

დიახ, უნდა დაარწმუნოს, რადგანაც რეპუბლიკური პარტიის „მეცადინეობის“ შედეგად დღეს გვაქვს:

**საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე — ნაცი.**

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე — ნაცი.**

**სახელმწიფო აუდიტის (იგივე კონტროლის პალატა) თავმჯდომარე — ნაცი.**

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — ნაცი.**

**თბილისის მთავრობა — ნაცები.**

**საპარლამენტო ოპოზიცია — ნაცები.**

**პარლამენტში „ოცნებაში“ გადაბარგებული რამდენიმე „თვალსაჩინო“ დეპუტატი -ნაცები.**

**პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში — ძალიან ბევრი ნაცი (ესენიც ყოფილები, ანუ როგორც „დაუვიწყარი“ ხუხაშვილი იტყოდა „რეჟიმის მსხვერპლნი“).**

**სამინისტროებში, სახელმწიფო დაწესებულებებში — ნაცები.**

**ტელევიზიებში მოკალათებული უამრავი ნაცი (იგივე უპრინციპო ჟურნალისტები)...**

უბრალოდ წარმოიდგინეთ, რომ ფაშიზმის დამარცხების შემდეგ გერმანიის ახალ ხელისუფლებას, სიდედრის მიერ დაგირავებული ბინის სანაცვლოდ, პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა შტრაიხერი, პოლიციის მაღალ თანამდებობებზე დაეტოვებინა გესტაპოს ყოფილი შეფი მიულერი და ყოფილი ესესელები დასჯის ნაცვლად დაეწინაურებინა და ოსვენციმის ბანაკის კომენდანტი რუდოლფ ჰესი რომელიმე სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელად დაენიშნა.

ძალიან საინტერესო იქნებოდა ფრანგების, ამერიკელების, ბელგიელების, ინგლისელების (საბჭოთა მოქალაქეებზე არაფერს ვამბობ) რეაქცია იმ პოლიტიკოსზე, რომელიც მარტინ ბორმანს (ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი) პოლიტიკურ დევნილად, ხოლო ოტო სკორცენის რეჟიმის მსხვერპლად შერაცხავდა.

ძალიან საინტერესო იქნებოდა იმ რეაქციის ნახვა, რაც საზოგადოებას ექნებოდა, ვთქვათ, ტელეკომპანია ბი-ბი-სის მიმართ, თუ მის ეთერში გავიდოდა თოქშოუ, რომელშიც ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვეები იქნებოდნენ მიწვეულნი. დარბაზში რამდენიმე დამსწრეს ჰიმლერის პორტრეტიანი პლაკატი რომ აეფრიალებინა და გადაცემის წამყვანს „სიტყვის თავისუფლების“ საბაბით მათთვის გადაცემის დროის ნახევარზე მეტი დაეთმო.

ამ კითხვებზე პასუხი თქვენგან მაინტერესებს, ბატონო ლევან! ველოდები, მაგრამ აბა რა პასუხს გამცემს ეს 1%-იანი რეიტინგის მქონე პარტიის წევრი, რომელიც საქართველოს რეიტინგს სისხლის სამართლის დამნაშავის რეიტინგს ადარებს. ნამდვილად არ დავიწყებ მისთვის იმის სწავლებას, რომ სამშობლო მის ნებისმიერ ლიდერზე უფრო მაღლა დგას. არ დავიწყებ, რადგანაც ეს ჭეშმარიტება აქამდე თუ ვერ გაიგო და არ გაისისხლხორცა, აწი ველარასოდეს ვერ გაიგებს.

**ჟიგულის ტორპედოს ხელი რამდენიც არ უნდა ურტყა, ბენზინი არ მოიმატებს.** რაც არ უნდა შევუძახოთ რესპუბლიკურ პარტიას, ისინი არ გამოსწორდებიან. არ გამოსწორდებიან, რადგანაც მათ საკმაოდ სერიოზული მენტალური გადახრა აქვთ.

დარწმუნებული ვარ, ზუსტად ანალოგიური აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც უტიფრად აცხადებენ, რომ 2011 წლის 26 მაისის ღამეს აქცია მხოლოდ „დაშალეს“, ალლუმის ჩასატარებლად ტერიტორია გაათავისუფლეს და, სამწუხაროდ, ძალას ოდნავ გადაამეტეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად ანალოგიური გადახრა აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიის კოორდინატორების დაფინანსება, ვიღაც მომღერლების და მსახიობების ალპინისტ-მწმენდავებად და სანაგვე მანქანის მძღოლებად გაფორმება საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილება იყო.

დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად ანალოგიური გადახრა აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც ბიზნესმენებისგან საკუთარი ქონების სახელმწიფოსათვის მასობრივად ჩუქებას, ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევენ.

დარწმუნებული ვარ, რადგანაც მათი აზროვნება აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთის აზროვნებას და სწორედ ამიტომაც ზრუნავენ ერთმანეთის გადარჩენისთვის.

ეს ხალხი ზუსტად ისე შეიპარა პარლამენტში, როგორც ბერძენი მეომრები ტროაში და თუ ვინმეს აწყობს ცხენის როლში ყოფნა, ეს მისი პრობლემაა. მისი პრობლემაა, რადგანაც ხალხმა ყველაფერი კარგად იცის, ყველაფერს კარგად ხედავს და თავის დროზე პირველ პასუხს სწორედ მათ გასცემს.

**გია გაბრიჭიძე**

◎ კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● რა საოცარია ცხოვრება და სიურპრიზებით აღსავსე. იოანე რაბატსკიმ მოსამართლეს კორექტულობისკენ მოუწოდა...

P. S. რომ შეძლებოდა, ხომ ჩაწერდა იმ ორი ტრუპის სიაში და სიამოვნებით გახდიდა სამს!

● ჩემი აზრით, პრემიერმა 50%-იანი ბარიერის დაწესებით ნარმანია ჩატეხა.

● რა საცოდავები არიან, ტო, როგორც კი ღარიბაშვილმა გამოაცხადა 50%, ეგრევე ყველამ მოიწონა, მანამდე რატომღაც 30% ერჩივნათ!

● ნაცებს მაგარი კადრები ჰყავდათ, რომ ამბობენ!

უტიაშვილი — მეზღაპრე ანალიტიკოსი!

კვეზერელი — სოფლის მეურნეობის მამალი ძროხა!

დეფი — პოეტი?!

პაიჭაძე — თავისუფალი ჟურნალისტი!

კომედი შოუს ბიჭები — ხელოვანები!

ნინო ჩხეიძე — მაგარი მომღერალი!

მეგის ქარდავა — ღირსების ორდენის კავალერი!

ნასარიძე — არასამთავრობო!

პროფესორი — თეა თუთბერიძე!

მხედართმთავარი, კაცობის და ღირსების სიმბოლო, მიხო!

კადრებია ისეთი, მეტი უკეთესი არ იქნება!

● ეეეხ ვანიჩკა, ვანიჩკა, შენ ენის შეჩვევას ჩივი? აწი, მილიონ რამეს შეგაჩვევენ კიდე.

● ერთი კარგი ახალგაზრდა კაცი დაიბარეს მეოცნებეებმა. სივი მოსთხოვეს. სამსახურის დაწყების ბრძანებას დღეს უნდა მოწეროდა ხელი. უარი უთხრეს. მიზეზი „ახლობლებმა“ გაანდეს: 26 მაისის „კადრი“ ხარო და... აკი 26 მაისმა გადამაწყვეტინა სოროდან გამოსვლაო?

● ოჰ, როგორ სურდათ ნაციონალებს, რომ სხვა პარტიებს ელანძღათ ხელისუფლება საარჩევნო ბარიერის გამო...

ოჰ, როგორ სურდათ...

მაგრამ ვერ მიართვეს...

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძე**

# რა კავშირი აქვს სპორტთან პოლიტიკას?



**პაოლო კოელიოს აქვს ასეთი გამონათქვამი — „დასაფასებელია ის, ვინც ლხინში გიდგას გვერდში და არა ჭირში“. ცნობილი მწერლის მიხედვით, ჭირში თანადგომას ისედაც უწევენ.**

რუსეთს დიდი ლხინი აქვს ოლიმპიური თამაშების სახით. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ლხინში მონაწილე 88 ქვეყნის სპორტსმენების, თანმხლები პირების, ჟურნალისტების, სტუმრების, გულშემატკივრების გამასპინძლება?!

ოლიმპიური თამაშები ყველა კონტინენტის მოსახლეობის მოჭარბებულ ყურადღებას რომ იპყრობს, ესეც არ არის გასაკვირი. სპორტი, სანახაობის და არა მარტო სანახაობის თვალსაზრისით, იზიდავს ყველას მიუხედავად ასაკისა, სქესისა, რელიგიური აღმსარებლობისა, ეროვნებისა.

სოჭის ოლიმპიური თამაშები 18 მარტს ისტორიის ნაწილი გახდება (როცა დასრულდება პარალიმპიური თამაშები). 19 მარტიდან დაწყებული მას, უკვე წარსულ დროში მოიხსენიებენ. წარსულ დროში გაიხსენებენ ოლიმპიურ ჩემპიონებს, მათ მიერ დაგროვილ ქულებს, ოსტატობას, შემართებას, შეუპოვრობას. გაიხსენებენ ქალაქს — ოლიმპიური თამაშების მასპინძელს, სპორტულ ნაგებობებს, საცხოვრებელ პირობებს, მომსახურებას, ადგილობრივი მოსახლეობის მასპინძლობას. სტატისტიკაში გადასული მონაცემები კი — სპორტის სფეროს ექსპერტთა ხანგრძლივი განსჯის საგნად იქცევა.

რუსეთისთვის სოჭის ოლიმპიურ თამაშებს არა მარტო სპორტისთვის დამახასიათებელი დატვირთვა აქვს, არამედ პოლიტიკურიც. საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთი, საბჭოეთიდან მკვეთრად განსხვავებული ქვეყანა, პირველად ატარებს ოლიმპიურ თამაშებს და თანაც საბჭოთა კავშირის დაშლიდან სულ რაღაც 20 წელიწადზე ცოტა მეტის გავლის შემდეგ.

საბჭოთა კავშირის დაშლამ უდიდესი ზარალი მოუტანა რუსეთს როგორც გეოგრაფიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ერთ დროს თითქმის ყველა ზღვასა და ბარზე გამავალი საბჭოთა იმპერია, შევიწროებულ-შემცირებული, სამრეწველო ინფრასტრუქტურადაკარგული, არათუ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას, რუსეთის ჩემპიონატის ჩატარებასაც ალმაცერად უყურებდა, მაგრამ პუტინის ხელისუფლებამ შეძლო.

შეძლო დაჩოქილი რუსეთის, ერთ დროს უდიდესი იმპერიის, ფეხზე წამოყენება, ეკონომიკის გამართვა, სოციალური ყოფის გაუმჯობესება, სამხედრო მშენებლობის ფართოდ გაშლა, საერთაშორისო არენაზე დაკარგული ავტორიტეტის დაბრუნება.

პუტინის რუსეთი ანგარიშგასაწევი ძალაა. ეს ის ქვეყანაა, რომელიც ტოლს არ უდებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოები. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, „დიდი რვიანისა“ და „ოცეულის“ წევრი, ბირთვული სახელმწიფო, შეიარაღების თვალსაზრისით აშშ-თან პარიტეტში მყოფი ქვეყანა, დაბეჯითებით აცხადებს მრავალპოლუსიანი მსოფლიოს შექმნაზე, რაც თავისთავად იწვევს ერთპოლუსიანობით გალაღებული აშშ-ის გულისწყრომას.

პუტინის რუსეთი ანგარიშგასაწევი სახელმწიფოა, კარდინალურად განსხვავებული გორბაჩოვ-ელცინის დროინდელი ქვეყნისგან. და რაც უფრო ზერელედ შეხედავს ნომერ პირველი ქვეყანა მომძლავრებულ რუსეთს, მით უფრო დაშორდება მსოფლიო პრობლემების ეფექტიანად მოგვარების თემას.

საერთაშორისო არენაზე ძნელად წარმოსადგენია რომელიმე საკითხის გონივრული მოგვარება ურუსეთოდ. ახლო აღმოსავლეთი, ავღანეთი, ირანის ბირთვული კვლევები, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება, ბირთვული თუ ჩვეულებრივი იარაღის შემცირება — ის საკითხებია, სადაც კრემლის მოსაზრებას ანგარიში ეწევა.

რამდენად სასურველია ამგვარი ქმედება (ანგარიშის გაწევა) აშშ-ის და მის მოკავშირე ევროპის მხრიდან, სხვა საკითხია. პოლიტიკური ვაშინგტონისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო ელცინის რუსეთი — სუსტი ქვეყანა, მაგრამ წიაღისეულით მდიდარი. ასეთთან ლაპარაკიც იოლი იყო, მით უმეტეს მისი ნედლეულის გამოყენება. თითზე ჩამოთვლილი წლები გაგრძელდა უმეტოქეოდ დარჩენილი აშშ-ის პირველ ქვეყნობა. და ისევ რუსეთი, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, გახდა საბაბი თავის ტკივილისა.

რუსეთის პრეზიდენტ პუტინს არაერთხელ უთქვამს, რომ რუსეთი არ ილტვის სუპერობისთვის. მისთვის მთავარია საკუთარი ცხოვრების მოწყობა - წარმატებული ეკონომიკით, სოციალური ყოფით. მაგრამ არის ეს აშშ-ის დამამშვიდებელი? ყურადღების მოდუნება არ ღირს, ასე თვლის ვაშინგტონი. პრეზიდენტ რეიგანის რუსული გამონათქვამი — „доверяй, но проверяй“ ძალაშია და თვალის მოხუჭვის შანსს არ აძლევს ამერიკას.

სამხედრო ძლიერებაზე დაფუძნებული ძალთა ბალანსი მუდმივ ძალისხმევას საჭიროებს და მასთან ერთად დიდ ფულს. პუტინის რუსეთმა ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად არა მარტო ეკონომიკას მიხედა, არამედ სამხედრო მშენებლობასაც. თანამედროვე რუსეთის შემოსავლები მარტო ენერგოშემცველების ექსპორტს არ ეფუძნება. ის იარაღსაც ჰყიდის საგრძნობი რაოდენობით და ამ საქმეში მეორეა მსოფლიოში — მეტოქე აშშ-ის შემდეგ. რა სახის იარაღით არ ვაჭრობს რუსეთი. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მართალია, ამ საქმეში ის ჩამოუვარდება პირველ ადგილზე მყოფ ამერიკას, მაგრამ სამხედრო ექსპერტთა გათვლით, სულაც არ არის გამორიცხული, უახლოეს პერიოდში სხვაობის შემცირება.

რუსეთის სუნთქვა ესმის ამერიკას, ისე, როგორც ჩინეთის, ინდოეთის, ევროკავშირის. ის (აშშ) იმ სპრინტერს ჰგავს, რომელიც თავდავიწყებით გარბის წინ, თან უკან იყურება, შეშფოთებული — ვაითუ დამეწიონო.

დაწევისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თანაფარდობის თემა თვალში საცემია. დიდი სახელმწიფოს, მით უმეტეს პირველობისთვის მებრძოლისთვის, მთავარია, სულ მუდამ ფხიზლად ყოფნა, კონტროლი მსოფლიო ვითარებისა, მეტოქეთა მიზნების დროული შეფასება-გაანალიზება, მათი შეფერხებისთვის დაშვებული თუ დაუშვებელი ღონისძიებების გატარება და ისეთი ვითარების შექმნა, რაც მეტოქის მოკლე თუ გრძელვადიან ჩავარდნას გამოიწვევს.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში პირველმა ქვეყანამ რუსეთის მიმართ არაერთი შემაფერხებელი ქმედება ჩაიდინა. მარტო „ფერად-ყვავილოვანი“ რევოლუციები პოსტსაბჭოთა სივრცეში აფეთქებული, რუსეთის უშუალო საზღვრებთან ან ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების მცდელობა რად ღირს, ან თუნდაც ევროკავშირის პროექტი — „აღმოსავლეთის პარტნიორობა“, რომელმაც უმძიმესი პრობლემა შექმნა უკრაინაში.

**უკრაინის საკითხი, ისე როგორც სირიისა, ჩიხშია შესული და ამ ჩიხის გულმხურვალე შემქმნელი პირველი ქვეყანაა — კულუარული ომის დიდოსტატი, ავანტიურიზმის მთავარი შემოქმედი, მთელი მსოფლიოს მალული მსმენელი.**

**დასავლეთის, უპირველესად აშშ-ის ძალისხმევით, უკრაინა ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაშია, რაც რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული ირიბი დარტყმაა — პირდაპირს რომ წააგავს. ამერიკა და ევროპა რუსეთს ადანაშაულებენ უკრაინაზე ზეწოლაში — თვით კი ვიზიტს ვიზიტზე ახორციელებენ უკრაინაში, სადაც ხელისუფლებასთან ყასიდ მოლაპარაკებას, ოპოზიციასთან საგნობრივი მოლაპარაკება ცვლის. უკრაინის პრეზიდენტთან ლაპარაკის მთავარი თემა — ოპოზიციის შენდობა, კანონმდებლობის შეცვლა და, რაც მთავარია, საპრეზიდენტო მმართველობის საპრეზიდენტო-საპარლამენტოთი ჩანაცვლებაა.**

დასავლელი სტუმრები ჯერჯერობით პირდაპირ არ ეუბნებიან იანუკოვიჩს, გადადექი და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნეო — ამაზე ოპოზიციურ „ტროიკას“ ალაპარაკებენ. ამერიკა-ევროპით ზურგგამაგრებული კლიჩკო, იაცენუკი და ტიაგნიბოკა კატეგორიულად ითხოვენ პრეზიდენტის გადადგომას — წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო დაუმორჩილებლობით იქადნებიან.

საქმეში ოდნავ ჩახედული მავანი ვერაფრით იფიქრებს, რომ „ტროიკის“ მყარი მოთხოვნა ვაშინგტონის მოთხოვნა არ არის. უკრაინის ფრონტზე ვაშინგტონი იგებს, ჯერჯერობით, ისე, როგორც სირიის ფრონტზე, ანუ „ჟენევა-2“-ის მოლაპარაკებებზე.

**გასული შემოდგომის სირია-უკრაინის ფრონტზე დამარცხება ვერა და ვერ გადახარშა აშშ-მა. ხუთი თვის განმავლობაში ის და მისი ევროპელი პარტნიორები დაუღალავად მუშაობდნენ გამარჯვებული რუსეთის გამარჯვების განეიტრალებისთვის. შედეგიც ფაქტია — უკრაინის პერმანენტული რევოლუცია და სირიის საკითხის ჩიხში შეყვანა.**

ჟენევაში დასრულებული ხელისუფლება-ოპოზიციის მოლაპარაკება, სამწუხაროდ, უშედეგოა. დასავლეთს მიზეზად ბაშარ ასადის ხელისუფლება მოჰყავს. ამერიკა-საფრანგეთის პრეზიდენტების სულ ახლახან გამართულ მოლაპარაკებებზე მკაფიოდ ითქვა, რომ ბაშარ ასადის ხელისუფლება ჟენევის მოლაპარაკებას აფერხებს.

ირღვევა „ჟენევა-2“-ის ინიციატორთა შორის დადებული შეთანხმების პუნქტები — მოლაპარაკებაში ყველა მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა. „ჟენევა-2“-ის გამართვამდე ვაშინგტონი რუსეთს შეჰპირდა, რომ მოლაპარაკებაში სრულიად სირიის ოპოზიციას მიაღებინებდა მონაწილეობას. სამწუხაროდ, მან დაპირება არ შეასრულა. არ შეასრულა არც მეორე დაპირება უპირობო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

სირიის ოპოზიცია ბაშარ ასადის გადადგომას და გარდამავალი მთავრობის შექმნას მოითხოვს. მსგავსი შეთანხმება მოსკოვვაშინგტონს შორის არ ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა, მოსკოვს ბაშარ ასადის ხელისუფლება მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაში დაეყოლიებინა.

**აშშ-ის პოლიტიკას ორი სახე აქვს — ერთი საჯარო, მეორე — ფარული. როდესაც საჯაროთი — მშვიდობასა და დიალოგზე გაჰყვირის, ფარულით — უჩუმრად აკეთებს საქმეს — ავანტიურისტულის მსგავსს, საჯარო განცხადებებისგან, დიამეტრალურად განსხვავებულს, რაც თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ ვაშინგტონისთვის ის არის კარგი, რაც ცუდია, ანუ მას აწყობს ოპოზიციური ძალების აქტიურობა, აწყობს დაძაბულობა და, რაც მთავარია, ბაშარ ასადის ჩამოგდება.**

აშშ სწორედაც ის ქვეყანაა, რომელიც ნაკლებად ინტერესდება იმით, რა იქმნება შემდეგ. ვაშინგტონმა ისე ჩამოაგდო და ჩამოახრჩო ძველი მეგობარი სადამ ჰუსეინი, რომ წამითაც არ უფიქრია, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას. ამერიკამ ჯარი გამოიყვანა ერაყიდან, ჩათვალა რომ იქ სტაბილური მდგომარეობაა. მაგრამ სტაბილურს ვერ უწოდებ, როდესაც ტერორისტულ თავდასხმებსა და აფეთქებებს დღეში საშუალოდ, 50 ადამიანი ეწირება. ათ წელიწადზე მეტია, ამერიკა თავის მოკავშირეებთან ერთად იბრძვის ავღანეთში, მათდა სამწუხაროდ — უშედეგოდ.

წელს აშშ დატოვებს ავღანეთს, ისე როგორს 25 წლის წინათ, 15 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ავღანეთი. მაშინ საბჭოეთმა 15 ათასი ჯარისკაცი დაკარგა ავღანეთში ბრძოლების დროს, საერთო დანაკარგმა კი 26 ათასი შეადგინა. რაც შეეხება ავღანეთს, მილიონ ორასი ათასი ადამიანი შეეწირა იმ ომს. იმ ომში აშშ და მისი მოკავშირეები ფარულად მონაწილეობდა. ყოველდღიურად, აშშ „თალიბებს“ 2 მილიონი დოლარით ამარაგებდა.

ვაშინგტონის მხარდაჭერით ნატომ წირვა გამოუყვანა კადაფის ლიბიას, თვით კადაფი საშინელი წამებით მოკლეს. ლიბიაში ქაოსია - სხვადასხვა ტომების სისხლიანი დაპირისპირებით, ტერაქტებით.

რუსეთის პრეზიდენტი რომ არა, სირიაშიც ანალოგიური ვითარება იქნებოდა. შესაძლოა, უარესიც, ვინაიდან სირიას სხვა გეოგრაფიული მდებარეობა, მით უმეტეს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

**ვიმეორებ, აშშ-ში საფრანგეთის პრეზიდენტის ოლანდის სახელმწიფო ვიზიტის დროს, მასპინძელმა ობამამ, ისე, როგორც სტუმარმა განაცხადა, რომ სირიის საკითხის ძალისმიერი გზით გადაჭრის თემა არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან. ძნელია, მსგავსმა განცხადებამ თავი შეაკავებინოს სირიის ოპოზიციას საომარი ქმედებისგან.**

სირიისა და ირანის, განიარაღებისა და ეკონომიკური გავლენის, პოსტსაბჭოთა სივრცის და მათ შორის უკრაინისა და საქართველოს საკითხები „კავკასიური წრის“ იმ სცენას მაგონებს, ბავშვს რომ აქეთ-იქით ექაჩებიან და პატარა ლამის შუაზე გახლიჩონ.

და როდესაც ესოდენ დამძიმებული ხარ მოპაექრესთან ურთიერთობებით, მიიღებ მის შემოთავაზებას ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე დასასწრებად?!

ვაშინგტონმა არ მიიღო მოსკოვის მიწვევა ყურით მოთრეულ მიზეზთა გამო, რომელთა შორისაა „ცისფრობის“ პროპაგანდის წინააღმდეგ მიღებული კანონი, ადამიანის უფლებების დარღვევა, ოპოზიციის შევიწროება და სხვა. არადა, ყველა მათგანზე მოსკოვს დამაჯერებელი არგუმენტები გააჩნია, მაგრამ დაჯერება რომ არ უნდათ?!

**არ მიიღო ვაშინგტონმა მოსკოვის არგუმენტები და თავის ევროპელ მოკავშირეებსაც არ მიაღებინა, აიძულა ისინი, არ დასწრებოდნენ სოჭის ოლიმპიადას. მავანი იტყვის, რა შუაშია სპორტი და პოლიტიკა? როცა გული გულობს, შუაში კია არა, თავშია.**

**პრეზიდენტმა ობამამ თავისი უარით სამაგიერო გადაუხადა პუტინს სირიის, ირანის, უკრაინის, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების საკითხებში საკუთარი მყარი პოზიციისთვის. გარდა ამისა იმ პირველობისთვის, რომელიც მას (პუტინს) მსოფლიოს 86 საინფორმაციო სააგენტომ არგუნა სათაურით — „მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი“.**

ობამა-ევროპის ლიდერთა დემარში წყლის წვეთებივით ჰგავს ერთმანეთს, ანუ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადას. მაშინ, ავღანეთში შეჭრის საბაბით დასავლეთმა უარი თქვა მოსკოვში ჩასვლაზე, ამჯერად — ვითომდა „პედერასტთა“ შევიწროების გამო. მაგრამ ეს ხომ ყურით მოთრეული არგუმენტია?

**პუტინის ლხინი აშშ-მა და მისმა მოკავშირე ევროპამ შეგნებულად არ გაიზიარა, რითაც ხაზი გაუსვა არა მარტო პაოლო კოელიოს ფილოსოფიას, არამედ მარტივ ჭეშმარიტებას — მოწინააღმდეგესთან ლხინშიც იბრძვი, ჭირში ხომ იბრძვი და იბრძვი.**

იხ. 8 გვ.

ინფრასტრუქტურა

# „ოქროს ფასი“ მილიარდი

## ანუ რა და როგორ შეემატება წლეულს ქვეყნის მხარეების, ქალაქების, დაბებისა თუ სოფლების ინფრასტრუქტურას და მოსახლეობას

**იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო დამკვეთი, სამუშაოთა შემსრულებელი და, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შემქმნელია, მისი წლევანდელი მოღვაწეობის მიმართულებებსა და განსახორციელებელი პროექტების მოცულობას საქართველოს მხარეების მოსახლეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.**

საქართველოს მხარეების მხარდაჭერის წლევანდელი პროგრამა, გარკვეულწილად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შარშანდელი მოღვაწეობის გაგრძელება იქნება, რისთვისაც განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 180 მილიონ ლარზე მეტი გამოიყოფა. სამუშაოთა მთელი მოცულობა რამდენიმე ეტაპს მოიცავს, რომელთაგან პირველი 430 პროექტისთვის 135 მილიონი ლარის დაფინანსებაა დამტკიცებული, რომელთა საპროექტო სამუშაოები მუნიციპალიტეტებმა უკვე დაიწყეს, ხოლო რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამას, იგი უახლოეს დროში დაიწყება.

ამასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის **სამინისტროს მთლიანი ბიუჯეტი 2014 წელს 875 ლარს შეადგენს, საიდანაც საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დაახლოებით 501 მილიონი ლარის, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე დაახლოებით 187 მილიონი ლარის, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე — 131 მილიონი ლარის, იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერაზე — დაახლოებით 50 მილიონი ლარის, რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და მართვაზე კი — 5 მილიონი ლარის დახარჯვაა დაგეგმილი.**

გარდა ამისა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემებით, აუცილებელ სამუშაოთა ჩასატარებლად დამატებითი სახსრები გამოეყოთ **საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას — 16 მილიონი ლარი, კომპანია „თეთნულდ დეველოპმენტს“ — 10,6 მილიონი ლარი, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას — 10 მილიონი ლარი. საბოლოო ანგარიშით, გამოდის, რომ 2014 წლის განმავლობაში სამინისტროს ბიუჯეტი 911 მილიონ ლარზე მეტი იქნება.**

საინტერესოა, მაინც რაში დახარჯავს სახელმწიფო ამხელა ფულს კონკრეტულად? 2014 წელს, კერძოდ, **სამუშაოები ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე ერთდროულად 7 უბანზე დაიწყება და, მთლიანად, 140 კილომეტრზე წარიმართება; დაიწყება აგარა-ოსიაურის გზის 12-კილომეტრიანი, სამტრედია-გრიგოლეთის გზის, თბილისი-რუსთავის მაგისტრალის მშენებლობები.** ამ უკანასკნელს როგორც დედაქალაქისთვის, ასევე თავად რუსთავისთვის და, მთლიანად, ქვემო ქართლის მხარისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია „სინოჰიდრო კორპორეიშენ ლიმითედი“ განახორციელებს. თავდაპირველად სამუშაოები პირველ და მესამე მონაკვეთებზე იწარმოებს, რისთვისაც 89 მილიონ ლარზე ოდნავ ნაკლები დაიხარჯება. რაც შეეხება ავტომაგისტრალის მეორე მონაკვეთს, მასზე სამუშაოთა ჩატარების უფლების მოსაპოვებლად ტენდერი უახლოეს ხანებში გამოცხადდება.



წლეულს **დასრულდება ქუთაისის შემოვლითი საავტომობილო გზის სამტრედიის 25,6-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, რომელზეც სამი ხიდი და ხუთი გზაგამტარი აიგება. ამასთან, გაგრძელდება ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის 32,5-კილომეტრიანი მაგისტრალის მშენებლობა,** მათ შორის, დასრულდება ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა, ხოლო ზესტაფონი-ქუთაისის გზა გაისად ჩადგება მწყობრში. ასევე **გაგრძელდება და 2016 წელს დასრულდება ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა, რომელზეც 16 ხიდი აიგება და ორი გვირაბი იქნება გაყვანილი.**

2014 წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით **რეაბილიტირებული იქნება 250 კილომეტრი საავტომობილო გზა და 30 ხიდი, ამასთან მწყობრში კიდევ ხუთი ახალი ხიდი ჩადგება.** მთიანი რეგიონების მხარდაჭერის მხრივ კი უდიდესი მნიშვნელობა ექნება რაჭასა და ხევსურეთში ახალი გზების გაყვანას, რომელთა პროექტების დაფინანსების წყაროები, სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტობრივად, მოძიებულია. კერძოდ, არხოტიროშკის სამანქანო გზა, რომლის მშენებლობა გაზაფხულზე დაიწყება, პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთს ერთმანეთს დააკავშირებს. რაჭაში ჩასვლაც ცოტა ხანში ახალი გზით იქნება შესაძლებელი, რომლის გაყვანის წინასწარი სამუშაოები (საჩხერე-შქმერი-ონი) შარშან ოქტომბერში დაიწყო.

იმის მიუხედავად, რომ როგორც მინერალური, ისე მტკნარი წყლის რესურსებით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, სასმელი წყლის პრობლემა არა მარტო ბევრ ქალაქსა და სოფელში, მთლიანად რეგიონებში უაღრესად მწვავედ დგას, თუმცა ქალაქებსა და სოფლებში საკითხი ერთმანეთისგან განსხვავებულ ჭრილშია განსახილველი. ამდენად, ვფიქრობთ, მეტად **მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაწყვეტილება 25 ქალაქსა და სამ დაბაში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის თაობაზე, ამასთან გაგრძელდება ქუთაისის, ფოთისა და ანაკლიის წყალმომარაგების პროექტი,** რომლის მთლიანი ღირებულება 60 მილიონი ლარია. რაც შეეხება სამინისტროს მიერ საქართველოს გაერთიანებული **წყალმომარაგების კომპანიისთვის გამოყოფილ 16 მილიონ ლარს, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა ქვეყნის კიდევ 16 ქალაქში მოწესრიგდება, რაზეც 6,7 მილიონი ლარი დაიხარჯება, ხოლო დანარჩენი თანხა შიდა სამაჩაბლოში კონფლიქტისპირა ცხრა სოფელში, მათ შორის, დიდ ხურვალეთში, გუგუთაანთკარში, ზარდიაანთკარში, მერეთში, კოშკაში, დიცში, ატოცში, წაღვლსა და კნოლევში წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგების გაგრძელების სამუშაოებს მოხმარდება.**

გარდა აღნიშნულისა, **დევნილთათვის ზუგდიდში რვა 356-ბინიანი, ხოლო ფოთში შვიდი 280-ბინიანი კორპუსი აშენდება.** ჩვენი მოსახლეობის ამ უაღრესად გაჭირვებული კატეგორიის მოქალაქეთა საცხოვრებლად იქნება განკუთვნილი **ქუთაისში, კასპში, ბოჯომში, ბაღდათსა და ხონში** სრულად რეაბილიტირებული ყოფილი კლინკური საავადმყოფოების შენობები. გარდა ამისა, სხვადასხვა რეგიონში ნაწილობრივ აღდგენილი იქნება კიდევ 22 შენობა.

გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ **მარნეულში, ხაშურში, ფოთში, დუშეთში, სამტრედიაში, თერჯოლასა და კასპში რვა ნაგავსაყრელის გამართული მუშაობისთვის აუცილებელი სამუშაოები ჩატარდება.**

სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად მხარეებში, საჭიროებისდა მიხედვით, ეგრეთ წოდებული, „სენდვიჩ პანელის“ ტიპის ამბულატორიები მოეწყობა, რისთვისაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ნაგებობების საძირკველს მოამზადებენ, რომელსაც დაშენების შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრო სათანადოდ გამართავს.

სპორტის ზამთრის სახეობის მოყვარულთათვის სასიხარულო ამბავია სვანეთში თეთნულდის სათხილამურო კურორტის განვითარების პროექტის გაგრძელება, სადაც წლეულს ახალი საბაგირო გზის მონტაჟი იგეგმება, ხოლო კახელებისთვის კი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი ისაა, რომ 2014 წელს კახეთის რეაბილიტაციის პროექტი დასრულდება.

ამდენად, როგორც ვხედავთ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დიდი გეგმები მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესების თვალსაზრისით იმდენად თვალნათლივი და მნიშვნელოვანია, რომ ამაზე ლაპარაკს აღარ მოვყვებით. ბუნებრივია, ბევრი რამ, რის გაკეთებასაც ახლა აპირებენ, არა თუ დროულია, კარგა ხნის დაგვიანებულიცაა, მაგრამ, ეს მოდით, პირდაპირ ვთქვათ, იმ ხალხის ბრალი სულაც არ არის, ვინც ახლა ამ საქვეყნო საქმეებს ეჭიდება. ჰოდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ კეთილ საქმეში, თორემ ჩვენი დუხჭირი ქვეყნისთვის თითქმის მილიარდი ლარის გაღება მხოლოდ ერთი, რაგინდ დიდი და მნიშვნელოვანი სამინისტროსთვის, ძალიან დიდი ამბავია, ამიტომ ამას „ოქროს ფასი“ მილიარდის ხარჯი შეიძლება ვუწოდოთ, რამაც ხალხს უამრავი სიკეთე უნდა მოუტანოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

აბასთუმანი

# თავის დროზე ყველაფერი გვქონდა!..

**ჩემი მოუშუშებელი ტკივილია კურორტ აბასთუმნის პრობლემები, რომელთა რაოდენობა თითქმის გეომეტრიული პროგრესით იზრდება.**

— ოდესღაც გვქონდა კეთილმოწყობილი წყალგამწმენდი სადგური. სრულიად სუფთა, გაფილტრული, ბიოლოგიურად თუ ქიმიურად გაწმენდილი წყალი შედიოდა წყალგამწმენდ სადგურში, აქედან კი ნაწილდებოდა ყველგან. თუმცა, ასე რომ მივყვეთ, მაშინ უნდა ჩამოვთვალოთ, რა როდის გვქონდა, რა დავკარგეთ და რას მივსტირით. რაღა დროს წყალგამწმენდი სადგურია, მადლობა ვუთხრათ იმათ, ვინც საერთოდ არ გადაგვიკეტა მდინარე და მღვრიეა თუ სუფთა, აღარა გვაქვს ასარჩევად საქმე. მოდის მთიდან მომავალი მდინარე ოცხე, წყალგამწმენდი სადგურის გარეშე. შემოდის ჩვენს ოჯახებში და ვღებულობთ მას მღვრიეს, თუ სუფთას, ქიმიურად თუ ბიოლოგიურად დაუმუშავებელს, და ვიყენებთ ყველაფრისთვის, რისთვისაც კი წყალია საჭირო. დიდი ამბავი, თუ ზოგჯერ ჩვენს მილებში გაჭყლეტილი ბაყაყი თუ თაგვი გამოყვება. იქნებ ამ წერილის წამკითხველს ვერ წარმოუდგენია ასეთი რამ. ჩვენ კი, აბასთუმნელები, ამ მოულოდნელობას ხშირად ვაწყდებით.

ასე გადის წლები, ჩვენი სასმელი წყლის მდგომარეობა თანდათან უარესდება... არ გსიამოვნებთ? მიბრძანდით, წყაროს წყალი ბევრია (10-12 წყარო) აბასთუმანში, მოიტანე და სვი კამკამა წყალი, გიშლის ვინმე? ბოლოს და ბოლოს, რას მიდგომიხარ ონკანებში შემოსულ ყოველგვარი სიბინძურით გაჯერებულ წყალს! არავინ იფიქროს, რომ მეტი ტვინსაჭყლეტი და სანერვიულო არაფერი გაქვს. პრობლემების ჩამოთვლა რომ დავიწყოთ, ძალიან შორს მოგვიწევს წასვლა. გულისტკივილით ვიხსენებთ რაიონის ხელმძღვანელების იმედიან დაპირებებს, რომ სულ მალე ყველაფერს მიეხედება: კურორტზე წყალიც მოწესრიგდება, ავტოსადგურიც აშენდება. კიდევ? კიდევ ის, რომ ვიცოცხლოთ ღმერთის იმედით. იმასაც ვხვდებით, რომ ბევრი ბუზღუნით, ვიშვიშით არაფერი გამოდის. დაპირებები, რომ ყველაფერი დღეს თუ ხვალ მოწესრიგდება, უტოპიაა.

აბასთუმნელებს, თავიანთი პრობლემებით დამძიმებულთ, ოდესმე მოგვხედავს ვინმე? მეტი არაა ჩემი მტერი! თუ ვინმე მოდის ხელმძღვანელად რაიონში, ყველა თავისთვის ირჯება.

ხელმძღვანელი კი ბევრი გამოიცვალა ჩვენს გატიალებულ-გაპარტახებულ კურორტზე, მაგრამ გაკეთებული არაფერი ჩანს. გვპირდებიან ავტოსადგურის აშენებას. ვითომ დაგვიდგება ისეთი დრო, რომ მგზავრებსაც, მომსახურე პერსონალსაც ჰქონდეთ თავშესაფარი?!

მაგრამ ნეტავ მარტო ავტოსადგური იყოს აბასთუმნელების თუ სტუმრად მობრძანებული პირების თავსატეხი!

**ზინა ლობჟანიძე,**
**კურორტი აბასთუმანი**



ასეთი იყო აბასთუმანი ადრე

შრომის კოდექსი



# დამსაქმებლებმა „ხვრელები“ მოძებნეს

**ნაციონალების დროინდელი მონური შრომის კოდექსი, რომელიც მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესებს ითვალისწინებდა და მათზე იყო მორგებული, საერთოდ არ განსაზღვრავდა სამუშაო საათების ანაზღაურებას და, აქედან გამომდინარე, სრულიად უგულებელყოფდა ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურებას. იგი არაერთხელ გააკრიტიკეს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა და განსაკუთრებით საერთაშორისო პროფკავშირებმა. ისინი მოუწოდებდნენ მაშინდელ ხელისუფლებას, კანონმდებლობის დონეზე აემაღლებინათ დასაქმებულთა უფლებები და შრომის კოდექსი შეესაბამებინათ საერთაშორისო სტანდარტებისთვის. განსაკუთრებით აქტიურობდა ევროკავშირი. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, მრავალ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად მუშაობა ამ კუთხითაც მიმდინარეობდა. საბოლოოდ იგი შეძლებისდაგვარად გახდა კიდეც ევროსტანდარტების შესატყვისი.**

ახალი კოდექსის მეცხრე მუხლით განისაზღვრა სამუშაო დროის ნორმირება და ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ანაზღაურება. ახალი რედაქციით სამუშაო დრო კვირაში 41 საათით განისაზღვრა. თუმცა, სპეციალისტთა გასაკვირად, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ჩაითვლება 48 საათის შემდეგ გაწეული შრომა. ყველა დამატებით საათზე დამსაქმებელმა უნდა გადაიხადოს დასაქმებულის ხელფასის 1,25 პროცენტი.

მიუხედავად კანონის ძალაში შესვლისა, დამსაქმებლებმა მოძებნეს საშუალება, რომლითაც ცდილობენ, თავი აარიდონ თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფთათვის ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ანაზღაურებას.

საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირების თავმჯდომარის ირაკლი პეტრიაშვილის განმარტებით, დღეს თავის არიდების ამგვარი ტენდენციაა. – დამსაქმებელი დასაქმებულს სიმბოლურად უმცირებს ხელფასს, შემდეგ კი ზეგანაკვეთურ საათებს „შიგნით სვამს“. – ამბობს პროფკავშირების თავმჯდომარე, და იმ დასაქმებულებს, რომლებიც თვლიან, რომ მათ ატყუებენ, მოუწოდებს, მიმართონ პროფესიული კავშირების იურიდიულ სამსახურს, რომელიც მათ სათანადო მომსახურებას გაუწევს. ამის დამტკიცება მარტივზე მარტივია, – განმარტავს პეტრიაშვილი, – საკმარისია ადრინდელი საშემოსავლო გადასახადი შევადაროთ ახლანდელს. ამით ნათელი გახდება, რომ მას სხვა ხელფასი ჰქონდა, ამჟამად კი სხვა აქვს. ქვეყნის მთავარი პროფკავშირელი დანაშაულებრივ ქმედებას უწოდებს იმას, რომ დამსაქმებლები ამცირებენ ხელფასებს, რათა შემდეგ საერთო ჯამში ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება აესახათ. დაბნეული დასაქმებული დანაშაულს თავის საერთო ანაზღაურებაში ვერ ხედავს. ხელფასის სახით იგივე თანხას ღებულობს, რასაც ღებულობდა.

პეტრიაშვილის განცხადებით, თუ დასაქმებული ამაზე ხმას არ ამოიღებს, მისი მოტყუება, ჩაგვრა გაგრძელდება. იგი აფრთხილებს მოქალაქეებს, რომ პრეტენზია უნდა გამოითქვას ახალი პირობებისთვის ხელის მოწერამდე. თუ დასასაქმებელი მოტყუვდა და ახალ ხელშეკრულებას მაინც მოაწერა ხელი, სასამართლოში მაინც შესაძლებელი იქნება დავის გაგრძელება – იმედს აძლევს შეცდომაში შეყვანილთ ქვეყნის პროფკავშირის ლიდერი, და იქვე დასძენს, რომ მოსახლეობამ უნდა დაძლიოს მენტალური პრობლემა, როდესაც ჰგონიათ, რომ საკუთარი უფლებების დაცვის მცდელობისთვის ისინი აუცილებლად დაიმსახურებენ დამსაქმებლის რისხვას, რაც სამსახურის დაკარგვით დამთავრდება. დღეს კი ამგვარი რამ ოჯახისათვის კატასტროფის ტოლფასია, – აცხადებს გაერთიანებული პროფესიული კავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი.

## კოდექსს აკრიტიკებენ

**ექსპერტ ნოდარ კაპანაძის მოსაზრებით, მართალია, ახალ კოდექსს საერთო ჯამში დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობები უნდა მოეწესრიგებინა, მასში საკმაოდ დარჩა „ხვრელები“. ექსპერტი თვლის, რომ, თუ დამსაქმებელს დაუტოვებ „ხვრელებს“, იგი აუცილებლად შეეცდება მათში გაძრომას.**

იგი დამქირავებლის მიერ ზეგანაკვეთური ანაზღაურების ხელფასის ხარჯზე გადახდას ყველაზე დიდ უნამუსობას უწოდებს, რაც შეიძლება დამსაქმებელმა მოიფიქროს, ბაზარი, ყველა პრობლემას ვერ მოაწესრიგებს, მიაჩნია ექსპერტს. კანონი არ აღსრულდება მანამ, ვიდრე დამსაქმებელი მკაცრ სტანდარტებში არ მოექცევა.

მას ახსენდება ოპონენტების გამონათქვამები, რომ მიღებული შრომის კოდექსი ისეთია, როზა ლუქსემბურგი და კლარა ცეტკინიც კი ინატრებდნენო, მაგრამ კაპანაძე ახალ კოდექსს უფრო დამსაქმებლის სასარგებლოდ მიიჩნევს, ვიდრე დასაქმებულისას. ამის შედეგია ის, რომ დამქირავებელი ყოველმხრივ ცდილობს, დაქირავებულს ანაზღაურება არ გაუზარდოს.

ექსპერტები, სპეციალისტები უიმედოდ მიიჩნევენ იმას, რომ შრომის ახალ კოდექსში რაიმე ცვლილებები შევა. მართალია, ამ კუთხით გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს, ცვლილებების მეორე ეტაპი პარლამენტში განსახილველად მიმდინარე წლის დასაწყისში შევა, მაგრამ ეს მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვას შეეხება, რადგანაც ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ყველა სხვა საკითხი ამოწურულად და მისაღებად მიიჩნია.

**ზაზა ბილიხოძე**

ალიან-ჩალიანი

## ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო დავების განხილვას რეგიონებშიც იწყებს

**გადამხდელების ინტერესების გათვალისწინებით და მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე წლის თებერვლიდან საგადასახადო დავების განხლვის საბჭოს გასვლით სხდომებს რეგიონებშიც გამართავს.**

**ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ინიციატივის განხორციელების შედეგად, საქართველოს რეგიონების მცხოვრებლებს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში შემოტანილი საჩივრების განსახილველად აღარ დასჭირდებათ დედაქალაქში ჩამოსვლა, რაც მათ დანახარჯების შემცირებისა და დროის დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს.**

**აღნიშნული ინიციატივა ფინანსთა სამინისტროს პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება, რომლის მიზანიც დავების განხილვის საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაა.**

**პირველი გასვლითი სხდომა იმერეთის რეგიონში, მიმდინარე წლის 20 თებერვალს, ქალაქ ქუთაისში გაიმართება. სხდომაზე განიხილება იმერეთის რეგიონიდან გადასახადის გადამხდელთა 25 საჩივარი.**

**დავების საბჭოს სხდომას ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილი უხელმძღვანელებს.**

**ყოველ მომდევნო გასვლით სხდომას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კონკრეტული რეგიონიდან შემოსული საჩივრების რაოდენობის მიხედვით გამართავს**

## გურიაში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 47 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, მინისტრი დავით ნარმანია გუშინ გურიის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც გუბერნატორს გიორგი ჩხაიძეს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე მინისტრმა გუბერნატორს, გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს ინფორმაცია მიაწოდა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომელთა განხორციელებასაც სამინისტრო 2014 წელს რეგიონში გეგმავს.**

**გურიაში განსახორციელებელი დამტკიცებული პროექტების მიხედვით, საავტომობილო გზების მშენებლობა - რეაბილიტაციას 29 917 900 ლარი მოხმარდება. აღნიშნული თანხით 3 მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. წელს დასრულდება ნატანები-შრომა-ურეკის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის გზის ორ მონაკვეთზეც.**

**გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა რეგიონში წყალ-კანალიზაციის მშენებლობა-რეაბილიტაციას. ამ მიმართულებით პროექტების განსახორციელებლად 6 374 200 ლარი დაიხარჯება. დაგეგმილია ლანჩხუთისა და ოზურგეთის წყალსადენი სისტემების რეაბილიტაცია. ასევე, ჩოხატაურისა და ურეკის წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

**წელსვე დასრულდება ოზურგეთის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა. დაგეგმილია ლანჩხუთისა და ოზურგეთის ნაგავსაყრელების საექსპლუატაციო სამუშაოებიც. მყარი ნარჩენების მართვის კუთხით განსახორციელებელ პროექტებს სახელმწიფო ბიუჯეტი სულ 380 470 ლარით დააფინანსებს. სამუშაოებს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია შეასრულებს.**

**გურიაში სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2 369 900 ლარი გამოყო. განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში მოხდება მდ. გუბაზეულის მიერ გამორეცხილი მიწის ვაკისის აღდგენა; ძველის ნაცვლად, ახალი სახიდე გადასასვლელი აშენდება მდ. სეფაზე; სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება მდ. ცხრაფონაზე არსებულ სახიდე გადასასვლელსაც; გარდა ამისა, დაგეგმილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას საავტომობილო გზის ცალკეულ მეწყრულ მონაკვეთებზე მიწის ვაკისის ჩაწყვეტის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები და ორაგვის ღელის წყალმიმღები ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

**შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გურიის მუნიციპალიტეტებისთვის დამტკიცებული პროექტები, რომლის პრიორიტეტებიც თავად ადგილობრივმა ხელისუფლებამ განსაზღვრა. რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა რეგიონში განსახორციელებელი 8 490 627 ლარის ღირებულების 28 პროექტი. აქედან 15 პროექტით გათვალისწინებულია გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, 4 პროექტით - წყლისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება; 8 პროექტით - საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; 1 პროექტით - გარე განათების მოწესრიგება.**

**ჯამში, 2014 წელს გურიის რეგიონში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 47 533 127 ლარი დაიხარჯება. აქედან, 39 042 500 ლარის სამუშაოების დაფინანსებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კი გურია დამატებით 8 490 627 ლარს მიიღებს.**

## მოსკოვის გამზირზე ჯარისკაცი მსუბუქად დაშავდა

**მოსკოვის გამზირზე ჯარისკაცს ხის ტოტი თავში დაეცა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციათა მართვის სამსახურიდან აცნობეს , ხის ტოტი ძლიერი ქარის შედეგად მოტყდა. შემთხვევის შედეგად ჯარისკაცი მსუბუქად დაშავდა. მას სასწრაფო- სამედიცინო დახმარების ექიმებმა ადგილზე აღმოუჩინეს.**

**საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურის ინფორმაციით, დღის განმავლობაში ძლიერი ქარის გამო რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. გამოძახებები ძირითადად ხის ტოტის მოტეხვის გამო ხდება, თუმცა, რაიმე სახის დაზიანებები არ ყოფილა.**

## თბილისსა და კახეთში დიდი რაოდენობით ვადაგასული სურსათი ამოიღეს

**სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისსა და კახეთის რეგიონში დიდი რაოდენობით ვადაგასული სურსათი ამოიღო და ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის ბიზნესოპერატორები 400 ლარით დააჯარიმა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა ლადო ასათიანის ქუჩაზე - ი/მ „დარეჯან ელიაშვილის“ მარკეტიდან, თემქაზე - შპს „მემოდან“, ქეთევან წამებულის გამზირზე - შპს „ფურშეტ ჯორჯიას“ სუპერმარკეტიდან ამოიღეს სხვადასხვა დასახელების ხორცპროდუქტი, ძეხვი, პაშტეტი, ხინკალი, კარაქი, სოკოს ბლინი, ფენოვანი ცომი, ქათამი, ქათმის კატლეტი, ყავა.**

**სააგენტოს ცნობით, ვადაგასული სურსათი კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდა.**

**გარდა ამისა, აღნიშნული სუპერმარკეტები და ქიქოძის ქუჩაზე მდებარე შპს „ლიზი-1“ ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის დაჯარიმდნენ 400 ლარით.**

**სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა ვადაგასული სურსათი ასევე ამოიღეს ლაგოდეხში (ი/მ „მაკა ალავერდაშვილი“); გურჯაანში (ი/მ „ლუდმილა ზირაქაშვილი“); ყვარელში („ნაირა გიგაშვილი“); ახმეტაში (ი/მ „ლილი იჩიურიძე“, ი/მ „ნათია მიქელაძე“, ი/მ „ხრისტო კაძიკიძე, ი/მ „ნაილი ფარეულიძე, ი/მ „თამარ კონჭოშვილი“).**

**კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდა სხვადასხვა დასახელების ლუდი, ლიმონათი და სხვა უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი, თევზის კონსერვი, ბარდა, ორცხობილა, მაიონეზი, იოგურტი, სოკოს მარინადი, შოკოლადი, შესქელებული რძე.**

**ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის დაჯარიმდნენ: გურჯაანში - შპს „ნიკორა კახეთი“, ი/მ „ბადრი ბერიკაშვილი“ და ი/მ „გოჩა ბაზერაშვილი“; ყვარელში - ს/ს „სმარტი“; საგარეჯოში - ი/მ „დავით გოცირიძე“, ი/მ „ლიანა აფციაური“; თელავში - შპს „ჯიბე“.**

**სურსათის ეროვნული სააგენტო ახსენებს ბიზნესოპერატორებს, რომ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 პრიმა მუხლის თანახმად, 2014 წლის 1 იანვრიდან ეტიკეტირების წესის დარღვევა ითვალისწინებს ჯარიმას 400 ლარის ოდენობით.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართველები სასამართლოსა და მიტინგების მეშვეობით სტალინის დაბრუნებას მოითხოვენ

**ქართველმა სტალინისტებმა პირველად გადაწყვიტეს, დაებრუნებინათ ძველი და ახალი ხელისუფლების მიერ დემონტირებული სახელოვანი თანამემამულის ძეგლი სასამართლო წესით. პრეცედენტი გახდება სიტუაცია ქალაქ თელავში ორმეტრიან მონუმენტთან დაკავშირებით, რომელიც 2013 წლის ბოლოს აიღეს.**

ადვოკატმა რობინზონ პაპიძემ, რომელიც დაიქირავეს ადგილობრივმა სტალინისტებმა ბელადის ძეგლის დასაცავად, ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ უკვე შეიტანა ადმინისტრაციული სარჩელი, რითაც აპროტესტებს თელავში ძეგლის დემონტაჟს.

მისი სიტყვებით, „ეს მონუმენტი საერთოდ არანაირად არ ხვდება ქარტიის გავლენის ქვეშ, ვინაიდან იყო დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის ნაწილი“.

**— ამას გარდა, იქ, ჩემი მონაცემებით, დაირღვა დემონტაჟზე ტენდერის წესები,** — აღნიშნა ადვოკატმა. **— ჩვენ განზრახული გვაქვს მივაღწიოთ ამ ძეგლის აღდგენას, აგრეთვე გორში, სტალინის სამშობლოში. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ვსწავლობთ, მართლა უარს ამბობს ხელისუფლება ძეგლის აღდგენაზე პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის შარშანდელი ინტერვიუს საფუძველზე, რომელიც მან ლიტვის ტელევიზიას მისცა და რომელშიც იყო დაპირება, არ მისცენ ნება მონუმენტის აღდგენაზე. თუ საჭირო იქნება, სასამართლოში ვუჩივლებთ პრემიერ-მინისტრსაც.**

ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის დროს მიღებული იქნა თავისუფლების ქარტია. მის თანახმად, საბჭოთა ეპოქის სიმბოლოები გათანაბრებული იყო ფაშისტურთან. ამჟამად მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ დოკუმენტს დაუმატა აკრძალვა, დაიდგას საჯარო ადგილებში ნებისმიერი „სიმბოლო კომუნისტური, ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიის საფუძველზე“. ეს ისჯება ჯარიმით 1 ათასი ლარის ოდენობით.

2010 წელს გორში მოახდინეს სსრ კავშირში ყველაზე ცნობილი შვიდმეტრიანი მონუმენტის დემონტაჟი, რომელიც 1952 წელს სტალინის მშობლიური ქალაქის ცენტრში დაიდგა. მოგვიანებით ქალაქის მუნიციპალიტეტმა, ადგილობრივ მცხოვრებთა ინიციატივის საფუძველზე, რომლებმაც თითქმის ათი ათასი ხელმოწერა შეაგროვეს, ნება დართო დადგან ეს ძეგლი სტალინის მუზეუმთან, რომელიც ოდნავ მოშორებითაა. მაგრამ ღარიბაშვილის განცხადების შემდეგ 2013 წელს სამუშაო გაყინეს. სტალინისტები დაყინებით მოითხოვენ, რომ ძეგლი — მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატია და არ უნდა მოხვდეს იგი ქარტიის მოქმედებაში.

**თელავისა და გორის მცხოვრებლებმა გააპროტესტეს ხელისუფლების უარი ბელადის ყველაზე ცნობილი ძეგლის აღდგენაზე**



მონუმენტი კულტურის სამინისტროს ბალანსზეა. ბრინჯაოს სტალინი ამჟამად ინახება სოფელ კარალეთში მიტოვებული ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, ბელადის სამშობლოდან შვიდი კილომეტრის დაშორებით.

სტალინისტებმა ასევე პირველად გადაწყვიტეს ყოველწლიური მიტინგები გორიდან გადაიტანონ თბილისში. მიტინგები იმართება ბელადის გარდაცვალების დღეს 5 მარტს. ამჯერად გაიმართება არა ტრადიციული სამგლოვიარო კრებები, არამედ საპროტესტო აქციები — ჯერ კანცელარიის შენობის წინ, სადაც განთავსებულია პრეზიდენტისა და მთავრობის აპარატი, შემდეგ — კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წინ.

**— მე 17 თებერვალს ოფიციალური განაცხადით ვაცნობე თბილისის ხელისუფლებას ჩვენს მიერ 5 მარტს მიტინგის გამართვის შესახებ. ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ქვეყანაში ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც აუცილებლად მიიჩნევს პატივი მიაგოს ყველაზე სახელოვან თანამემამულეს. ეს ჩვენი, საშინაო ქართული საქმეა, ამას არანაირი დამოკიდებულება არ აქვს იმასთან, თითქოს ჩვენ ასე ჩამოვდივართ ევროპული გზიდან. სტალინისადმი ასეთი დამოკიდებულება — საკუთარი ისტორიის მასხრად აგდებაა,** — განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბარში „სტალინის ძეგლის აღდგენის სახალხო ფონდის“ ხელმძღვანელმა თამაზ ჯაფოშვილმა.

**ფონდის ანგარიშზე, თამაზ ჯაფოშვილის სიტყვებით, აკუმულირებულია 7 ათასი ლარი. აგრეთვე ადრე გორის ხელისუფლების მიერ გამოყოფილი 15 ათასი დოლარი საკმარისია, რომ ძეგლი გორში დავაბრუნოთ.**

ქართული კანონების თანახმად, აქციების ჩასატარებლად არ არის საჭირო ხელისუფლების ნებართვა, საკმარისია მხოლოდ აცნობო მას გეგმის შესახებ, რათა უზრუნველყოს მან წესრიგი.

**გორში სოსო (იოსებ) ჯუღაშვილმა იცხოვრა 16 წლამდე, სანამ არ წავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად.**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◉ რუსეთის დიდი ლხინი

# რა კავშირი აქვს სპორტთან პოლიტიკას?

(მეხუთე გვერდიდან) დასავლეთის უარი იოლად მოსანელებელი არ არის. დასავლეთის დემარში კარგა ხანს გაჰყვება რუსეთს, ისე, როგორც დემარში მოსკოვის ოლიმპიადასთან დაკავშირებით. აღარ არის საბჭოთა კავშირი, აღარც ლეონიდ ბრეჟნევი და პოლიტბიუროა, მაგრამ არის მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტი. აღარ იქნება პუტინი და მისი მთავრობა, მაგრამ იქნება ამერიკა-ევროპის ბოიკოტი სოჭის „პედერასტთა“ გამო. **მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისას იფიქრებდა ვინმე, რომ რუსეთის ტერიტორიაზე გამართულ ოლიმპიადაზე ამერიკა-ევროპის მაღალი რანგის პოლიტიკოსთა მონაწილეობას მამათმავალთა საჯდომი გადაეფარებოდა?**

აშშ-მა ყველაფერი იღონა, ცხადია ირიბად, რათა ამერიკელებს სოჭის ოლიმპიადაზე დასწრების სურვილი არ გასჩენოდათ. მარტო სახელმწიფო დეპარტამენტის გაფრთხილება რად ღირს — ფრთხილად იყავით, სოჭი ისეთ ადგილას მდებარეობს, ძალიან ახლოს რომ არის ტერორიზმის ეპიცენტრთანო, თან სასტუმროების სიმცირეც მიიღეთ მხედველობაშიო.

დაიწყო ოლიმპიადა და დაიწყო პრეტენზიები — სასტუმროს ნომრები მზად არ არისო, ქუჩებში მაწანწალა ძაღლებიაო, ლიფტები არ მუშაობსო და ა.შ. თუმცა, გაზვიადებულმა კრიტიკამ დიდხანს ვერ გასტანა, ვინაიდან თბილმა გარემომ, მასპინძლობამ და ორგანიზებულობამ გადაფარა „კეთილის მსურველთა“ გამონათქვამები.

პუტინმა გაუძლო გარე ზეწოლას, არანაკლებ შიდას, „ობიექტურ“ არასამთავრობოთა მხრიდან. სოჭის ოლიმპიადას თუ რუსეთის გუნდის გამარჯვება არ მოჰყოლია, პუტინის პოლიტიკური გამარჯვება უდავოდ მოჰყვა. სოჭმა მთელს მსოფლიოს აჩვენა ფეხზე წამომდგარი რუსეთი, რომელსაც ძალუძს მსოფლიო მასშტაბის ღონისძიების გამართვა; დაანახვა თანამედროვე სუპერსახელმწიფო, რომელსაც თითებზე ჩამოსათვლელ წლებში შეუძლია სუპერთანამედროვე სპორტული შენობა-ნაგებობების აშენება და არა მარტო სპორტული სასახლეების, არამედ ახალი ქალაქისა, თავისი რკინიგზითა და საავტომობილო გზებით, გაზისა და ელექტროენერგიის მომარაგებით.

**სოჭმა რუსეთის მოქალაქეებს გაუჩინა რწმენა შინაგანი სიძლიერის, შეკავშირებულად ერთად დგომის, მონოლითურობისა, რაც ესოდენ აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის ნგრევით გამოწვეული ნიჰილიზმის დასაძლევად, ჩეჩნეთის ომით გამოწვეული ტკივილის მოსაშუშებლად.**

სოჭმა კრემლს და მოსკოვს შთაბერა რწმენა, რომ რუსეთი არის კავკასიაში მთავარი და უმთავრესი მოთამაშე და არა აშშ ან ევროკავშირი, რომ ის არის რეგიონის ლიდერი და კავკასიის საკითხები მასთან უნდა შეთანხმდეს.

სოჭმა დაანახვა მსოფლიოს, რუსები რომ იტყვიან, „ვინ არის სახლში უფროსი“.

სოჭის ოლიმპიადამ ყველას რაღაც დაანახვა. დაგვანახვა ჩვენც, თუ დავინახავთ. რა იყო ეს? უპირველესად საქართველოს წარგზავნილების გულთბილი მასპინძლობა და, რაც მთავარია, უაღრესად თბილი სიტყვები რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან, რომელიც მან სოჭის საზოგადო პალატასთან შეხვედრის დროს გააჟღერა.

**სოჭმა მწვანე შუქი აუნთო რუსეთ-საქართველოს პირველი პირების მოლაპარაკებას, ცხადია, თუ ამ გონივრულ წინადადებას „მურმანის ეკალივით“ ხელს არ შეუშლის „სტრატეგიული პარტნიორი“. საჯაროდ, ვაშინგტონი მიესალმა ამ იდეას, მაგრამ მხოლოდ საჯაროდ. რას ეტყვის აშშ-ის ელჩი ნორლანდი საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერს, სხვა საკითხია.**

ჩემთვის ნაკლებად დასაჯერებელია, რომ მას და მის ვაშინგტონელ ბოსებს ხიბლავთ შეხვედრის პერსპექტივა. მანამდე კი პუტინის მოკლე ნათქვამს — თუ შეხვედრის სურვილი ექნებათ, უარს არ ვეტყვიო - წამდაუწუმ ატრიალებენ. ისეთი აჟიოტაჟია ატეხილი, თითქოს პრეზიდენტ პუტინს შეხვედრის სურვილით გაჟღენთილი წერილი გამოეგზავნოს მარგველაშვილისთვის.

მარგველაშვილისთვის თუ ღარიბაშვილისთვის? რომ არ ვიცით. როგორც ჩანს, მათაც არ იციან, ვინ შეხვდება პუტინს.

და არის ატეხილი მედიური ბჭობა. ორივე მხარე იჩემებს შეხვედრაში მონაწილეობას. თქვე კაი ხალხო, თუ ასე გაგახარებდათ პუტინის ნახევარსიტყვა, ამდენ ხანს სად იყავით?

სულ ამას არ გიჩიჩინებდით წელიწადნახევრის განმავლობაში?!

**საქართველო იმ ქმარგაყრილ ქალს მაგონებს, რომელიც დაქალთან ქოქოლას აყრის ყოფილ მეუღლეს, მაგრამ ერთი სული აქვს ქმრისგან რამე დადებითი მოისმინოს. ეს დადებითი კი ძველებური ურთიერთობის აღდგენაა. დავუშვათ, საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა პუტინთან შეხვედრა, რა წინადადებით წარდგება ის მის წინაშე?**

ივანიშვილისეული ვარიანტი - ნატოშიც ვიქნებით, ევროკავშირშიც და შენთანაც — რომ არ გამოდგება, ცხადია. თუმცა, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ჯერ პირველი ბარიერი გვაქვს გადასალახი— კონსულტაციები ვაშინგტონთან. და თუ ის გადავლახეთ, მერე ვნახოთ, რას ვიღონებთ მოლაპარაკებაზე პუტინთან.

**ისე კი, რაც მართალია, ჩანს ამ ხელისუფლებას, წინამორბედთან შედარებით, უნდა პუტინთან დალაპარაკება. ისე უნდა, რომ არცკი ახსენებს შეუვალ განცხადებას — ფანჯიკიძე რომ წამდაუწუმ გვიფრიალებდა — „ვიდრე ცხინვალსა და სოხუმში რუსეთის საელჩოები იქნება, მოსკოვს არ დაველაპარაკებითო“. მაგრამ ღირს კი მინისტრის სიტყვების გახსენება, როდესაც ქვეყნის ბედი წყდება?**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## დედამიწის ზურგზე



**ბეირუთში, კუვეიტის საელჩოსთან და ირანის კულტურის ცენტრთან, აფეთქება მოხდა: არიან დაღუპულები**

**დადასტურებულია ორი ადამიანის გარდაცვალება. ათობით დაჭრილი კრიტიკულ მდგომარეობაში ლიბანის დედაქალაქის ჰოსპიტლებში არიან. წინა კვირას იტყობინებოდნენ, რომ ადგილობრივმა ძალოვნებმა შეძლეს, თავიდან აეცილებინათ ტერორისტული აქტი რუსეთის საელჩოსთან. ორმაგმა ტერორისტულმა აქტმა ირანის დიპლომატიურ მისიასთან ნოემბერში 25 კაცის სიცოცხლე შეიწირა.**

* * *

**სოჭის თამაშებით აღფრთოვანებულმა ამერიკელებმა თავიანთ ეზოში ააგეს „ოლიმპიური“ საციგურაო ტრასა**



**60 მეტრის სიგრძის ყინულის ნაგებობამ ვირაჟებითა და გვირაბებით, რომლებსაც ამკობენ ფანარები და ოლიმპიური რგოლები, მიიზიდა ბავშვები მთელი ოლქიდან. მშენებლობისთვის სამი დღე-ღამე დასჭირდათ, მაგრამ მისი შენარჩუნებაც საჭიროა იდეალურ მდგომარეობაში, რაზეც ყოველდღე რამდენიმე საათი იხარჯება. მაგრამ შრომა ნამდვილად ღირს — ეს ხომ მთელი სიცოცხლის სახსოვარია.**

* * *

**ამერიკული ფრეგატი, რომელიც სოჭში მიდიოდა ოლიმპიადის დასაცავად, გაიჩხირა თურქეთის პორტში მეჩეჩის გამო**



**სარაკეტო ფრეგატა წამოეგო ზღვის ფსკერს, როდესაც თურქეთის ნავსადგურ სამსუნში შედიოდა საწვავის ასაღებად. ხომალდს დაუზიანდა ხრახნის ლაპოტი. ნახვრეტი კორპუსზე ვერ აღმოაჩინეს. ინციდენტი მოხდა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ, მაგრამ მის შესახებ არაფერს იტყობინებოდნენ, სანამ არ გაირკვა დაზიანების მასშტაბი.**

* * *



**კიევში ცეცხლსასროლი ჭრილობისგან გარდაიცვალა ადგილობრივი კორესპონდენტი**

**მანქანას, რომელშიც იმყოფებოდნენ გაზეთ „ვესტის“ თანამშრომლები, წინა ღამით თავს დაესხნენ უცნობები ნიღბებსა და კამუფლაჟებში. ორი კაცი სასტიკად სცემეს, ვიაჩესლავ ვერემიიმ მიიღო ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა მკერდში, იგი საავადმყოფოში საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა.**

◉ ჩემი ქალაქი...



# ნუ დავივიწყებთ წარსულს!

## ანუ ეკონომიკის მინისტრი რუსთავს ჯერ ერთხელაც არ სწვევია...

**დიდი მამულიშვილი გივი ოდიშარია აღორძინებული ქალაქ რუსთავის გამორჩეულ მოღვაწეთა ერთ-ერთი წარმომადგენელია. ახლახან, როდესაც ჩვენი ქალაქის ერთადერთ მატიანე გაზეთ „რუსთავის“ ფურცლებზე ბატონ გივი ოდიშარიაზე მოგონება შემოგვთავაზა ჟურნალისტმა და მწერალმა თინათინ სიყმაშვილმა, სურვილი გამიჩნდა, გამოვხმაურებოდი.**

აქვე ვიტყვი: გივი ოდიშარია იყო უკეთილშობილესი ადამიანი. მისი ღვთაებრივი აურა მირონივით იხარშებოდა მისივე გულის ბუხარში და დასტაქრის დანასთან ერთად სასწაულებრივად ჰკურნავდა სნეულს.

სამწუხაროდ, დღეს წინაპრების ღვაწლისა და ამაგის მიმართ ინტერესი თითქმის გამქრალია. არადა, დღემდე შემოგვრჩნენ ისეთი ლეგენდარული ადამიანები, როგორებიც არიან პირველი თაობის მეტალურგები, 1950 წლის 27 აპრილს პირველი ქართული ფოლადის დნობის მონაწილე ვაჟა გიგიბერია, შიო ქაჯაია... მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდება. დრო და ასაკი თავისას შვრება. რატომ არ უნდა იცოდეს მომავალმა თაობამ თავისი ფესვების შესახებ? ეს ფართო გაგებით, კერძოდ კი, როგორ, როდის და რისთვის აღსდგა ფერფლიდან ჩვენი ქალაქი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალით, თბილისის შემდეგ მეორე ადგილს იმკვიდრებდა და უდიდესი წვლილი შეჰქონდა სახელმწიფოს ძლიერებაში. რატომ არ უნდა იცოდეს ახალგაზრდამ, რომ, თუ არა იოსებ სტალინის ნება, არც არასოდეს იქნებოდა რუსთავი, არც ჩვენ ვიქნებოდით აქ და, უფრო მეტიც, დღეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ფონიჭალასთან იქნებოდა, რამეთუ რუსთავის და გარდაბნის ტერიტორია იჯარით იყო გაცემული სხვა სახელმწიფოს მცხოვრებლებზე.

მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, როდესაც რუსთავის მშენებლობა გადაწყვიტა ქვეყნის, ანუ ყოფილი საბჭოთა კავშირის მთავარმა მმართველმა და მესაჭემ და მისივე მითითებით სწორედ რუსთავში აშენდა ინდუსტრიული გიგანტი, თორემ საქართველოს იმდროინდელ მთავრობას ახალი მშენებლობა თბილისის ტერიტორიაზე, საავიაციო ქარხნის ადგილზე ჰქონდა გადაწყვეტილი.

კი ბატონო, თუკი სტალინი ტირანი იყო, რა, ნაკლები ტირანი იყო ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელმაც მილიონობით ადამიანი დახოცა და ლამის ნახევარ მსოფლიოს გადაუარა? თუნდაც ალექსანდრე მაკედონელი, ან იულიუს კეისარი. რაო, კაცობრიობა მათ სახელებს დიდებით არ მოიხსენიებს? ისტორია პატივს არ მიაგებს? მაშ ჩვენ რატომ ვართ პაპზე უფრო კათოლიკენი?

კარგი, სტალინს თავი დავანებოთ, მივხედოთ ჩვენს ახლო წინაპრებს. თუნდაც ოთარ პატიაშვილი ვახსენოთ. ღვთის წყალობით, ჯერ ისევ ჯანმრთელად რომ არის. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ყოველი მეორე თუ არა მესამე ცათამბჯენი მისი აშენებულია, მისი კომპლექსური ბრიგადა სამაგალითო იყო არა მარტო ჩვენს ქვეყანაში... ან თუნდაც შესანიშნავ ქარხნის დირექტორებს: გურამ ქაშაკაშვილს, ოთარ სულაძეს, გიორგი გოგოლაძეს, სხვათა და სხვათა, რატომ არ უნდა ვიწვევდეთ, ვუწყობდეთ შეხვედრებს, მოვეფეროთ და მათაც მოვუსმინოთ ჩვენი ქალაქის იმ ახლო წარსულზე, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიაში.

1968 წელს, როგორც ახალგაზრდა ჟურნალისტს, წილად მხვდა ბედნიერება, კოლხურ კოშკში შევხვედროდი დიდ კონსტანტინე გამსახურდიას. მაშინ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს შორის რუსთავზეც დიდი სიყვარულით ისაუბრა. გაიხსენა, რომ აქ იყო უდაბნო, ეკალბარდებით მოფენილი ხრიოკი ველი, სადაც ის სანადიროდ დადიოდა... რუსთავი საქართველოსთვის XX საუკუნის უდიდესი მონაპოვარიაო, რადგან ქართული სიტყვა საუკუნეების შემდგომ კვლავ დაუბრუნდაო თავის ნაფუძარს, ბრძანებდა დიდი მწერალი.

ვისი გორისა ხარ, ეს თუ არ იცი, არ შეიმეცნე, არ გაითავისე, მაშინ ერთი სულის შებერვა და ბაბუაწვერასავით გაქრები, დაიკარგები. არადა, ქართველს რომ ფესვები აქვს, მუხასავით ღრმად გადგმული, განტოტვილი, მაგარზე მაგარი, ეს არ უნდა დავუკარგოთ მომავალს.

რუსთავს კიდევ ერთი თავისებურება აქვს: როდესაც 1944 წელს მომავალი მეტალურგიული ქარხნისათვის ახალგაზრდებს არჩევდნენ, ისინი გამოარჩიეს საქართველოს ყველა კუთხიდან: აჭარიდან, აფხაზეთიდან, შიდა ქართლიდან. 5 ათასი ჭაბუკი და ათასობით მშენებელი შეიკრიბა იმჟამად რუსთავის ასაღორძინებლად...

ჯერ კიდევ 1969 წელს (მაშინ გაზეთ „მეტალურგს“ ვრედაქტორობდი), ქარხნის მაშინდელმა დირექტორმა სოლომონ შარაძენიძემ, რომლის ხელმძღვანელობით საწარმო რენტაბელური გახდა, თავისთან დამიბარა, მითხრა, ქარხნის ისტორიაზე არავინ ზრუნავს, არადა, გავა წლები და ყველას მივავიწყდებით, იქნებ იფიქრო, არ დაიზაროო.

ამ საქმეში გამოუცდელი კი ვიყავი, მაგრამ მაინც მოვიძიე საარქივო მასალები, წყაროები, მრავალ „კაცმატიანეს“, ვისაც თვითონ შეექმნა ქალაქის თუ ქარხნის ისტორია, პირადად ვესაუბრე. საკმაოდ საინტერესო მასალები მოვიძიე, წიგნად ჩამოვაყალიბე, მაგრამ დასტამბვა შეუძლებელი იყო. ბოლოს ამ საქმეში მხარი დამიჭირა შესანიშნავმა მამულიშვილმა, ყოფილმა მეტალურგმა, ქალაქკომის ყოფილმა პირველმა მდივანმა ლუდვიგ ხარბედიამ, რომელიც მაშინ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე იყო. მან მოახერხა და დამასტამბინა პატარა ბროშურა. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა იყო, სამჯერ მეტი გამოუქვეყნებელი დარჩა, რაც სადღაც დამეფანტა, მაგრამ იმ მცირე მოცულობამაც მრავალი ღირსეული მამულიშვილის სახელი შემოინახა.

მე მგონი, ესეც ცხოვრებისეული გაკვეთილია, ამადაც უნდა ვიჩქაროთ, მივაგოთ პატივი და დიდება მათ, ვინც ღირსეულად იმამულიშვილა, სიცოცხლე სამშობლოს, ქვეყანას, ერს უანგაროდ მიუძღვნა, აკეთა კაცური საქმე. განა ისინი ბევრს გვთხოვენ? მოვეფეროთ ცოცხლებს, ორიოდე თბილი სიტყვა ვუთხრათ, ზეციურ საქართველოში წასულნი კი თბილად გავიხსენოთ, გავიხსენოთ და მოვიგონოთ იმგვარად, რომ მათი საქმენი დღევანდელი თუ ხვალინდელი თაობებისათვის სამაგალითო იყოს, მათ ნაკვალევზე მომავლებმა უფრო მეტად არგონ მამულს, პირველ რიგში კი მშობლიურ ქალაქს, რათა კვლავ და კვლავ გაძლიერდეს და განმტკიცდეს.

**გივი ჯახუა,**

**დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

**P. S. ახლახან ტელესამაუწყებლო კომპანია „კავკასიას“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სტუმრობდა.**

**დავით აქუბარდიამ მას რუსთავზე კითხვები დაუსვა.**

**სასიამოვნოა, რომ ბატონ მინისტრს საზოგადოდ სცოდნია რუსთავის სატკივარი. სამწუხაროდ, ზოგადად, რადგან დარგის ხელმძღვანელი რუსთავს ჯერ ერთხელ არ სწვევია.**

**მე მინდა, ბატონ პრემიერს ირაკლი ღარიბაშვილს მივმართო, რუსთავში კატასტროფული უმუშევრობაა, არადა, რუსთავი დღესაც სჭირდება ქვეყანას.**

**ბატონო ირაკლი, დროზე მოგვხედეთ.**

**ბატონო მინისტრო (მივმართავ გიორგი კვირიკაშვილს), გთხოვთ, გვეწვიოთ და ადგილზე გაეცნოთ რუსთაველთა გასაჭირს.**

**გ. ჯ.**

◉ ახლახან გამოვიდა

## ტიბაანელი თამარი ლექსად მეტყველი ქალია!

რა თქმა უნდა, გახსოვთ გალაკტიონის – „წინანდალელი ნათელა, ულამაზესი ქალია!“ ჰოდა, ისევ „წამეხმარა“ ჩვენი „გალა“, როდესაც **თამარ შაიშმელაშვილის** ახალი ლექსების წიგნის გამო, ერთი-ორი სიტყვის თქმა დავაპირე.

ჩვენი ძვირფასი თამარი ტიბაანელია, დღე არ გავა, არ ახსენოს, ჩემი აზრით, ყველაზე საუკეთესო კახური ღვინით და ამ ღვინის მომყვანი საუკეთესო ადამიანებით განთქმული ეს სოფელი... მით უფრო, რომ იქ ჰყავს დედ-მამა, რომელთაც, დიახაც ახარებთ თავიანთი ქალიშვილის კარგი ჟურნალისტობა და კარგი პოეტობა... თამარის ახალი ლექსების კრებული **„სულალუბლები“** ბევრი კარგი ლექსითაა სავსე, რა თქმა უნდა, უპირველესად, **„ტიბაანი“**:

**იბადებოდა მთებიდან სხივი**
**თუ ჟრუანტელი ახლდა ამ მოსვლას...**
**ასე მეგონა, მზეს სამყაროსას**
**ტიბაანიდან სურდა ამოსვლა...**



აღსანიშნავია, რომ წიგნის წინასიტყვაობაში თამარ შაიშმელაშვილის პოეზიაზე კეთილ სიტყვებს არ იშურებენ შესანიშნავი ქართველი პოეტები – მიხეილ ქვლივიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, აკაკი გეწაძე, ინგა მილორავა, მანანა ჩიტიშვილი, ელგუჯა თავბერიძე, შალვა მჭედლიშვილი, გოდერძი ჩოხელი...

ჩემი კეთილი სიტყვაც მიითვალე, თამარ-ქალო! კარგ ლექსად მეტყველება არ მოგეშალოს!

## „მწიგნობარი“ მწიგნობრობის გავრცელებას განაგრძობს




მთელი წელი ელოდა მკითხველი **„მწიგნობარს“** – საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიურ ორგანოს.

რა გასაკვირია, რომ ერთი-მეორეზე საუკეთესო მასალებით იყოს სავსე „მწიგნობრის“ ახალი ნომერი! გიორგი ერისთავის 200 წლისთავს ეხმიანება ლადო მინაშვილის „ქართული სათავადო მწერლობის მამამთავარი“, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავს უძღვნიან თავიანთ საყურადღებო წერილებს ნანა ხაზარაძე და მიხეილ ქავთარია; გრიგოლ რობაქიძის თხზულებათა ხუთტომეულზე საუბრობს თენგიზ ჩხაიძე, ხოლო წიგნის ცენზურაზე – გურამ ყორანაშვილი. სხვათა შორის, წიგნზე, მათ მოამაგეებზე, ბეჭდური წიგნის ისტორიაზე... რამდენიმე წერილია „მწიგნობარში“. მოკლედ, „მწიგნობრის“ ახალ ნომერს ინტერესით გაეცნობიან არა მხოლოდ მწიგნობრები.

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ დედაქალაქის პრობლემები

## საცობები და ძაბრები

**თბილისელი მძღოლები (ვინც საჭესთან ზის და არა მხოლოდ ისინი) შეამჩნევდნენ ბოლო ხანებში მანქანების საცობების მომრავლებას, გმირთა მოედანზე, მარჯანიშვილისა და ბარათაშვილის ხიდებთან ჩატარებული გზის რეკონსტრუქციის (ესტაკადების სამუშაოების) მიუხედავად. მანქანების რაოდენობა იზრდება, მუდმივად იქმნება რიგები ჩელუსკინელების ხიდიდან ესტაკადაზე ასასვლელამდე, რადგანაც ასავალი ერთრიგიანია და აშკარად თხოულობს გაფართოებას. რიგები იქმნება საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე, აქ გზა გასაფართოებელია. ნუთუ მერიას არ შეუძლია, „ვისოლს“ გამოუყოს სხვა ადგილი ბენზინგასამართი სადგურისათვის? აუცილებელია კვანძის გამარტივება ვეფხისა და მოყმის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაგარინის მოედანზე. გარდა ამისა, დროა, თბილისშიც დაინერგოს ცივილური ქალაქების პრაქტიკა და სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობის გრაფიკი დაწესდეს. უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში ასეთი პროდუქტით (საუბარია შეფუთულ პროდუქციაზე) მხოლოდ ღამით მარაგდება მაღაზიები. დაბოლოს, მივესალმებით ახალ ინიციატივას მთვრალი მძღოლების მიმართ კანონის გამკაცრებასთან დაკავშირებით.**

**მალხაზ დოლიძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი**



### რაგბი

# რუსებთან დიდ სტუმრიანობას ველით



**საქართველოს ნაკრები შაბათს, 22 თებერვალს, ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩში, რომელიც, იმავდროულად, 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, ეროვნულ სტადიონზე რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.**

„ბორჯღალოსნები“ გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიოს თასის საგზურს გაინაღდებენ.

ჩვენმა მორაგბეებმა მზადება, ტრადიციულად, „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ დაიწყეს და ღია ვარჯიში გამართეს. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში არ ჩანდა გარემარბი გიორგი შკინინი („არმია“), რომელსაც ფეხის ტრავმა აწუხებს.

„ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა გუნდი ორ ჯგუფად გაყო. მორკინალები ძალოსნობის დარბაზში დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში სიმძიმეების აწევაში ვარჯიშობდნენ, უკანა ხაზი კი, გუნდის ირლანდიელი მწვრთნელის მაიკ ბრედლის ხელმძღვანელობით, რაქიდან შეტევის ორგანიზებას და სხვადასხვა კომბინაციის დახვეწას ცდილობდა.

მერე მოედანზე მორკინალებიც გამოჩნდნენ და საქმეში ილია ზედგინიძე და ილია მაისურაძე ჩაერთნენ. ჩვენმა მორაგბეებმა მოედნის ცენტრში მოგებული დერეფნის შემდეგ მრავალფაზიანი შეტევის აკინძვაში ივარჯიშეს. ეს ყველაფერი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც უკანახაზელებმა ძალოსნობის დარბაზში გადაინაცვლეს.

მორკინალები კი ფრანგი მწვრთნელის დიდიე ბესის განკარგულებაში გადავიდნენ. მან დამცავი ბალიშების გამოყენებით რაქიდან ბურთის ატაცებასა და მოკლე დარტყმების განხორციელებაში ავარჯიშა „ბორჯღალოსნები“.

ბოლოს კი შერკინებაში წვრთნის ჯერიც დადგა, რომელსაც ისევ ბესი ხელმძღვანელობდა. მორკინალები ორ ჯგუფად გაიყვნენ და თამაშის ამ კომპონენტის დახვეწას საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს. თუ ამ კონკრეტული ვარჯიშის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობა შერკინებაში ასეთი უნდა იყოს: 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

ძნელი სათქმელია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ჰეიგი უკანა ხაზის დაკომპლექტებისას — ძირითადში მოხვედრის შანსი აქ ყველას აქვს.

**გიორგი ჩხაიძე, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი:**

„რუსეთის ნაკრებს, ცხადია, კარგად ვიცნობთ. ყოველ წელიწადს ვხვდებით და ვუგებთ. მიუხედავად ამისა, მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. რუსები ბოლომდე იბრძოლებენ და შეეცდებიან, მათთვის უსიამოვნო ტრადიცია დაარღვიონ.

ჩვენი მიზანია, მწვრთნელის დავალება შევასრულოთ, რაც მატჩის მოგების გარანტი იქნება. ტაქტიკა, რაც წინა თამაშზე გვქონდა, იმისგან განსხვავებული იქნება. ლისაბონში წვიმდა და ამიტომ სხვა სათამაშო სქემა ავირჩიეთ“.

**შალვა მამუკაშვილი, საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი:**

„რა თქმა უნდა, რუსებთან თამაში ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერს ვიღონებთ, რომ ისინი კიდევ ერთხელ დავამარცხოთ.

მინდა, ქომაგებს ვთხოვო, რომ მეტოქის მორაგბეებს და მათ გულშემატკივრებს პატივისცემით მოექცნენ“.

საგულისხმოა, რომ ეს თემა რუსებთან მატჩის წინ განსაკუთრებით აქტუალური გახდა. საქართველოს რაგბის კავშირმა, ჯერ კიდევ ნოემბრის ტესტებიდან მოყოლებული, ახალი ტიპის მატჩის ბილეთების დაბეჭდვა დაიწყო, სადაც ძალიან კარგადაა ჩამოთვლილი რაგბის ქომაგის ქცევის წესები.

**აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების მატჩს IRB-ის პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. ამასთან ერთად, რუსეთიდან ამ ქვეყნის ვეტერან მორაგბეთა გუნდი გვეწვევა, რომლებიც ქართველ ვეტერანებს გაეჯიბრებიან.**

**ბეჟან დოლიძე**

### სოჭი –2014

# ალექსანდრე ბენიაიძე და იასონ აბრამაშვილი გიგანტურ სლალომს გამოეთიშნენ



**გუშინ სოჭის ოლიმპიადაზე მამაკაცებს შორის ასპარეზობა გიგანტურ სლალომში გაიმართა. საქართველოს სახელით ორმა მოთხილამურემ — ალექსანდრე ბენიაიძემ და იასონ აბრამაშვილმა იასპარეზეს.**

ქართველმა სპორტსმენებმა პირველი დაშვება ვერ ჩაამთავრეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მეორე დაშვების მცდელობა აღარ ექნებათ. ალექსანდრე ბენიაიძე და იასონ აბრამაშვილი 22 თებერვალს სლალომში ცდიან საკუთარ ძალებს.

შეგახსენებთ, რომ სოჭის ოლიმპიადაზე ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა ნინო წიკლაურმა იასპარეზა, რომელმაც გიგანტურ სლალომში 49-ე ადგილი დაიკავა. ის ხვალ სლალომში ცდის ძალებს.

**მანუჩარ გიორგაძე**

### კალათბურთი

# ფაჩულიას „მილუოკიმ“ ათამდე დაამარცხა



**„ყველა ვარსკვლავის მატჩით“ გამოწვეული პაუზის შემდეგ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (NBA) რეგულარული პირველობის თამაშები განახლდა და საქმეში ზაზა ფაჩულიას „ბაქსიც“ ვიხილეთ.**

მილუოკელებს მცირე დასვენება კარგად წაადგათ. ზედიზედ 4 მარცხის შემდეგ „ბაქსი“ ფაჩულიას ერთ-ერთ ყოფილ კლუბ „ორლანდო მეჯიქს“ დაუხვდა და დაძაბულ ბრძოლაში 104:100 სძლია.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში გახლდათ, თუმცა, მოედანზე მხოლოდ 15 წუთი გაატარა. აღნიშნულ დროში ფაჩულიამ 3-დან 2 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 6 ქულას 2 მოხსნა წაამატა. ზაზამ ბურთი ერთხელ დაკარგა და ამდენივე პერსონალური ფოლი მიიღო.

მილუოკელთა მთავარმა მწვრთნელმა ლარი დრიუმ სხვადასხვა მიზეზთა გამო ამჯერადაც ვერ დაიხმარა ო ჯეი მაიო, მიროსლავ რადულიცა, ლუკ რიდნური, ეკპე უდო, კარლოს დელფინო და ლარი სანდერსი, აქცენტი კი უკანახაზელებზე გააკეთა და არც შემცდარა.

„ბაქსის“ რიგებში ყველაზე შედეგიანი კერონ ბატლერი იყო 21 ქულით, ბრენდონ რაიტმა 18 ქულა ჩააგდო, ხოლო ნეიტ ვოლტერსმა, რომელიც ნბა-ში სადებიუტო სეზონს ატარებს, 15 ქულას 7 მოხსნა და 8 პასი წაამატა და თანაც, ბოლო წამებზე უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო.

43 მარცხის წილ ბაქსისთვის“ ეს მხოლოდ მე-10 გამარჯვება გახლდათ და გასაკვირი არაა, რომ ფაჩულიას კლუბი მთელს ლიგაში კვლავ ბოლო ადგილზე რჩება. მილუოკელებს მომდევნო მატჩი 21 თებერვლის დილას ისევ შინ „დენვერ ნაგითსთან“ ელით.

**ვიტალი ჯაფარიძე**

### ფეხბურთი

# პიკე: გამარჯვება დავიმსახურეთ

**კატალონიის „ბარსელონას“ მცველ ჟერარ პიკეს მიაჩნია, რომ მისმა გუნდმა „მანჩესტერ სიტისთან“ უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველ 1/8-ფინალურ მატჩში გამარჯვება დაიმსახურა.**



„თამაშს თითქმის 90 წუთის განმავლობაში ვაკონტროლებდით. ვფიქრობ, გამარჯვება დავიმსახურეთ. მეტოქეს სერიოზულად მოვეკიდეთ და წარმატებასაც მივაღწიეთ. მსაჯებმა სამართლიანი გოლი არ ჩამითვალეს. თამაშგარე ნამდვილად არ ყოფილა. მსაჯი გადაწყვეტილებას წამებში იღებს და, შესაძლოა, შეცდომა დაუშვას. დემიკელისი ნამდვილად გასაძევებელი იყო. ვფიქრობ, მეტოქეს იქამდეც ვჯობდით, სანამ კაცნაკლულნი დარჩებოდნენ“, — განაცხადა პიკემ მატჩის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონამ“ „სიტის“ საგარეო მატჩში 2:0 სძლია (მესი — პენალტით, დანიელ ალვეში). „ლევერკუზენი“ — პარი სენ-ჟერმენი“ 0:4 (მატუიდი, იბრაჰიმოვიჩი — 2, ვერატი).

**გიორგი შოთაძე**

### ინტერნეტიდან

# მაგიური სარა სამპაიო

**გაიცანით „ვიქტორია სიქრეტის“ კიდევ ერთი ულამაზესი მოდელი, პორტუგალიელი სარა სამპაიო, რომელსაც სამოდელო სამყაროში ამვლელჩამვლელი ხალხი „პორტუგალიელ ირინა შეიკადაც“ კი მოიხსენებს. სარას სილამაზე და სიკისკასე მართლაც რომ თვალს ჭრის ყველას და, როგორც ჩანს, ამ ასულის პოპულარობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.**

მიუხედავად იმისა, რომ სარა სამპაიო პორტუგალიელი ლამაზმანი გახლავთ და მის სამშობლოში ფეხბურთი სპორტის ნომერ პირველ სახეობად ითვლება, მშვენიერი სარას საყვარელი საფეხბურთო კლუბი ამერიკული „ნიუ იორკ ნიქსია“.

სარა სამპაიო (ისევე როგორც ცნობილ მოდელთა აბსოლუტური უმრავლესობა) საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებშია გადაბარგებული და, როგორც ჩანს, ნიუიორკული კლუბიც სწორედ ამის შემდეგ შეუყვარდა. სარა თურმე ამ კლუბის მატჩებზეც ხშირად დადის და გულშემატკივრობისას არც ხმამაღლა წივილ-კივილზე იხევს უკან.

**როსტომ რაჭველიშვილი**



## ხსოვნა

# ვალენტინა შევანდინა-გიგიბერია



გარდაიცვალა ცნობილი ენერგეტიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი **ვალენტინა შევანდინა-გიგიბერიასი**.

დაიბადა 1938 წლის 15 იანვარს თბილისში.

საშუალო სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ, 1956-1961 წლებში, სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1962 წლიდან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა საქართველოს ენერგეტიკას. მუშაობდა საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საერთო ენერგეტიკის განყოფილებაში ინჟინრად, უმცროს და შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

მისი მეცნიერული ინტერესები ძირითადად მოიცავდა მოსახლეობის კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების (ამ მიმართებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია) ოპტიმალური გზების გამოკვლევას, რაიონების სრული ელექტრიფიკაციის განხორციელების საშუალებათა თანმდევ საკითხებს.

1988-2005 წ.წ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივ ძალთა შემსწავლელ კომისიაში, სადაც მონაწილეობდა ქვეყნის ბუნებრივ ძალთა რაციონალურად გამოყენების პრობლემათა გამოკვლევაში.

კვლევითი საკითხების დამუშავებაში გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული პრინციპულობით, ენერგეტიკული დარგების ფართო დიაპაზონში ჩართულობით.

ქალბატონი ვალენტინა, გარდა მაღალი პროფესიონალიზმისა, გამოირჩეოდა დიდი კულტურით და მაღალი ზნეობრივი თვისებებით, შესაშური კეთილშობილებით.

წავიდა ჩვენგან სათნოებით აღსავსე ქალბატონი, გამოჩენილი ენერგეტიკოსის ბატონ გიორგი (გია) გიგიბერიას ღირსეული მეუღლე. ნათელში ამყოფოს უფალმა მისი კეთილი სული, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ დიდ სამძიმართან ერთად ვუსურვოთ ბატონ გიას და მის ოჯახს გაძლება და ჯანმრთელობა მათთვის ასეთ მძიმე ჟამს.

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;**
**საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი;**
**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;**
**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.**

---

**საქართველოს თეატრაული საზოგადოების პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი, ქართული თეატრის დიდი მეგობარი და თანაშემოქმედი**



**მერი დავითაშვილი**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---



**მეუღლე მერი ყანჩაველი, შვილები დავითი, კობა, რძალი ხათუნა ჯანხოთელი, შვილიშვილები ნინო, გიორგი, ძმისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**შალვა (თენგიზ) ყანჩაველი**

**პანაშვიდი 21, 22 II, 17 სთ. დაკრძალვა 23 II, 14 სთ. მისამართი: ჩუღურეთის რაიონი, ვერხარნის შეს. №6.**

---

## სულთათანა

# ზურაბ გაბუნია



გარდაიცვალა საქართველოს სამართალმცოდნეობის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი **ზურაბ გაბუნია,** პროფესიონალი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ თვითონ, სხვათა დაუხმარებლად, შექმნა თავისი თავი და დამოუკიდებლად გაიკვლია გზა საქართველოს სამართლებრივი სისტემის საფეხურებზე აღმასვლით.

ეს გზა დაიწყო სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოდან და სტუდენტთა ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელ რგოლში საქმიანობიდან. შემდეგ იყო საქართველოს პროკურატურა და ბოლოს — სასამართლოების თავმჯდომარეობა.

იგი აღიარებული იყო როგორც სამოქალაქო სამართლის ღრმა მცოდნე, ამ სახით დავების სამართლიანად განმსჯელი.

ასეთი იყო ის საზოგადოებისთვის. ჩვენ კი, მისი ახლობლები და მეგობრები, მას ვიცნობდით, როგორც უშურველ ადამიანს, ოჯახისთვის თავგადადებულ მეუღლეს, შვილებისთვის მზრუნველ მამას, შვილიშვილებისთვის უსაყვარლეს ბაბუას.

ლუკმის გამყოფი კაცი იყო. გულწრფელად უხაროდა, თუ შეძლებდა და ვინმეს, სრულიად უცხოსაც კი, დახმარების ხელს გაუწვდიდა.

ხანგრძლივმა და უკურნებელმა სენმა დარია მას ბოლო ხანს ხელი და გამოგვგლიჯა ძვირფასი მეგობარი.

მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა.

**არმაზ სანებლიძე**

---



**მეუღლე თინა გაბუნია, შვილები ხათუნა, ირაკლი, შვილიშვილები ზურიკო გაბუნია, მარიამ, ლევან ცეცხლაძეები, რძალი ნანა გოგიაშვილი, სიძე კოკი ცეცხლაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ზურაბ შალვას ძე გაბუნია**

**პანაშვიდი 20, 21 II, ტიციან ტაბიძის პირველი შესახვევი №22 (არაყიშვილის ქუჩის ზევით). გამოსვენება 22 II, 15 სთ. ქაშვეთის ეკლესიიდან.**

**დები ინეზა, აზა, ძმისწული ეკა გაბუნია, დისწულები თინა, ლევან, აჩიკო ცქვიტინიძეები, რძლები მალვინა, ნათია, სიძეები ზურაბ ცქვიტინიძე, გიორგი გოგსაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ზურაბ შალვას ძე გაბუნია**

---

**ედუარდ შევარდნაძე, მანანა, პაატა შევარდნაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ გულიკო ჩაფიძეს და მის ოჯახს შვილიშვილის**

**დათო ცხაკაიას**

**გარდაცვალების გამო.**

19/02/2014წ.

---

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება —ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს თანამშრომელი**

**ნინო ყაზახიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**მეუღლე მანანა (ბაია) ჩხენკელი, შვილები ირმა, კონსტანტინე, ძმა ანზორი, ბიძაშვილი დინარა კოზმავა, რძლები ილონა ახუბა, ემა დუნდუა, სიძე თემურ ჩოგოვაძე, შვილიშვილები კესო, კონსტანტინე შენგელიები, თემურ, აჩიკო ჩოგოვაძეები, ძმისწულები თამარ, ნინო, თენგო, ერასტო (ერიკა), ცოლისდა ნონა ჩხენკელი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**გერონტი (გენო) დურუს ძე შენგელიას**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 II, 17 სთ. დაკრძალვა 22 II, 14 სთ. მისამართი: წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი 16/18, სადარბაზო 3.**

**გულისვარდ, გიორგი, მევლუდ დუნდუები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კაცთმოყვარეობით, კეთილი საქმის კეთებით, მეგობრობით, ჭირსა და ლხინში თანადგომით, სტუმართმოყვარეობით, ქართული ტრადიციებით გამორჩეული შესანიშნავი პიროვნება**

**გერონტი (გენო) დურუს ძე შენგელია**

**და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს მანანა ჩხენკელს, ძმას ანზორს, ბიძაშვილს დინარა კოზმავას, შვილებს ირმა და კონსტანტინეს, შვილიშვილებს და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**გია ჯღარკავა, გიორგი რუხაძე, ედიშერ დუნდუა ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან საუკეთესო თვისებებით გამორჩეული პიროვნების**

**გერონტი დურუს ძე შენგელიას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.**

---

**მარინა კანდელაკი თანაგრძნობას უცხადებს მეუღლეს ქალბატონ მანანას, ძმას ბატონ ანზორს, ქალბატონებს დინარას, ემას და სხვა ჭირისუფალთ კეთილშობილებითა და სათნოებით გამორჩეული პიროვნების**

**გერონტი დურუს ძე შენგელიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

## კრიმინალი

### დააკავეს ფალსიფიცირებული ვისკის დამამზადებლები

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ფალსიფიცირებული ვისკის და ღვინის დამზადება-რეალიზაციის ფაქტზე ორი პირი — გიორგი კიკნაველიძე და ფარილ ჯაფარლი დააკავეს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, ამავე დანაშაულის ფაქტზე მოქალაქე ოლეგ არტიუხოვი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.**

**— გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირებმა, კუსტარულად მოწყობილ საამქროში, ანგარების მოტივით დაამზადეს და გაასაღეს ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელები, ქინძმარაულის და საფერავის სახეობის ღვინოები და ვისკები. ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნულ სასმელს შეცვლილი აქვს თვისობრიობა და ისინი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.**

**მათივე ცნობით, დამნაშავე პირთა ქმედება თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით ითვალისწინებს.**

**ინტერპრესი**

## ალიან-ჩალიანი

### ფონდი „ქართუ“ მსახიობებისა და სპორტსმენების დაფინანსებას გააგრძელებს

**ფონდი „ქართუ“ განათლების, ხელოვნებისა და სპორტის წარმომადგენლებს ამიერიდან შესაბამისი სამინისტროების მეშვეობით დააფინანსებს, განაცხადა ფონდის იურისტმა ნინო კიკნაძემ. მისივე განმარტებით, აღნიშნული მიზნით ფონდი განათლების, სპორტის და კულტურის სამინისტროებს გრანტს გამოუყოფს.**

— ჩვენს ფონდში სპორტსმენების, ხელოვნებისა და განათლების წარმომადგენელთა დაფინანსებასთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებებია. გადაწყდა, რომ შესაბამის სამინისტროებს გადაეცემათ თანხები გრანტის სახით და ყველა, ვინც ფონდისგან დახმარებას იღებდა, ამიერიდან თანხას განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტროებისგან მიიღებს. ასე რომ, ფონდი დაფინანსების პროგრამას აგრძელებს, თუმცა, ხელშეკრულების მეორე მხარე ამიერიდან ხდება შესაბამისი სამინისტრო, — განაცხადა „ქართუს“ იურისტმა.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილმა მსახიობებს დახმარება მოუხსნა.

### ბინებით დააკმაყოფილეს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ვარკეთილის სამხედრო ქალაქში კიდევ 17-მა სამხედრო მოსამსახურის ოჯახმა მიიღო ბინა.**

ბინების გადასაცემად ვარკეთილში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, მისი მოადგილე ვაკო ავალიანი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე მივიდნენ.

მათ პირადად გადასცეს ახალი ბინების გასაღებები ISAF-ის მისიის შესრულების დროს დაღუპული სამხედროს, I კლასის რიგითის ზურაბ გურგენაშვილის ოჯახსა და 2008 წლის აგვისტოს ომში მძიმედ დაჭრილ სამხედროს, სერჟანტ ავთანდილ ჯაყელიძეს. მოგვიანებით, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა პირებმა საცხოვრებელი ფართები დაათვალიერეს და ახალ მესაკუთრეებს ბინების მიღება მიულოცეს.

„ჩვენი ვალდებულებაა, ხელი შევუწყოთ ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს, რათა ისინი სოციალურად უზრუნველყოფილნი იყვნენ იმიტომ, რომ ისინი ასრულებენ ყველაზე დიდ საქმეს ჩვენი ქვეყნისთვის — იცავენ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს საერთაშორისო იმიჯს და ჩვენს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ასრულებენ, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

## ჩვენი კარაბადინი

### დიაგნოსტიკის ახალი მეთოდი

**ამერიკის მისურის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს ადრეულ სტადიებში ბაქტერიული მენინგიტის გამოვლინების ხერხი, როდესაც დაავადება ყველაზე უკეთესად ექვემდებარება მკურნალობას.**

ბაქტერიული ინფექციების უმრავლესობის დიაგნოსტიკა ემყარება სისხლში ლეიკოციდების დაანგარიშებას – გაზრდილი ლეიკოციტი მწვავე ანთებაზე მიუთითებს. მაგრამ, როდესაც მენინგიტიან 216 პაციენტს ადევნებდნენ თვალყურს, ამერიკელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ სისხლის თეთრი უჯრედების ოდენობა შემთხვევების 33 პროცენტში მათში ნორმალური რჩებოდა. სისხლის დამატებითმა ანალიზებმა აჩვენეს, რომ დაავადებულთა უმრავლესობაში „არასწორად“ მუშაობდა ნეიროფილები – ლეიკოციტების ქვესახეობა.

ექიმებმა უნდა შეამოწმონ არა მხოლოდ ლეიკოციტების საერთო რაოდენობა, არამედ ნეიტროფილების საერთო რაოდენობაც– რამდენია მათში მოუმწიფებელი და როგორია მათი შეფარდება. თუ ერთ-ერთი ეს მაჩვენებელი პაციენტს აქვს ნორმაში, დიდია იმის ალბათობა, რომ პაციენტს აქვს მენინგოკოკური მენინგიტი, – ამბობენ მკვლევარები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მიაჩნიათ ავტორებს, ანალიზი ნეიტროფილებზე ჩაუტარდეთ ბავშვებს, ვისაც ალმური დაეწყო, – მათ ხშირად არ აქვთ მენინგოკოკური ინფექციისთვის დამახასიათებელი ტიპური სიმპტომები.

### დროებითი მოვლენა



**პრეპარატები ნიკოტინის მცირე შემცველობით (სალბუნები, საღეჭი აბები...) ეხმარება არ შეექმნათ ზედმეტი წონა იმათ, ვინც მოწევას ანებებს თავს. ეს დაადგინეს იაპონელმა მედიკოსებმა, როდესაც თვალყურს ადევნებდნენ მოხალისეებს, ვინც ნიკოტინური დამოკიდებულების მკურნალობის კურსს გადიოდა.**

მოწევაზე უარის თქმის შემდეგ გიუმჯობესდება მადა და რამდენადმე ნელდება მეტაბოლიზმი. პირველი 2-3 წლის განმავლობაში ყოფილი მწეველების წონა შეიძლება იზრდებოდეს. მამაკაცები იმატებენ საშუალოდ სამ დამატებით კილოგრამს, ქალები – ოთხს. ყოფილ მწეველთა დაახლოებით 10 პროცენტი წონაში იმატებს მნიშვნელოვნად. მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა, შვიდი წლის განმავლობაში წონა უბრუნდება ნორმალურ ნიშნულებს.

### ობი სიძველისგან

**ობიანი ყველი ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს და მას აქვს ანთების საწინააღმდეგო თვისებები. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები კემბრიჯის უნივერსიტეტიდან, რომლებმაც გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ ფრანგების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პროდუქტი.** ფრანგები დღეს მსოფლიოში იმყოფებიან მესამე ადგილზე გულის დაავადებებისა და ინსულტებისგან გარდაცვალებათა ყველაზე დაბალი დონის მიხედვით. და ეს პაშტეტებისა და



ცხმიანი საკვების დიდი სიყვარულის მიუხედავად! მკვლევარებმა აღმოაჩინეს აგრეთვე ობიანი ყველეულის დადებითი გავლენა საკვების გადამუშავების ტრაქტზე: ისინი თრგუნავენ ანთებით პროცესებს კუჭის ლორწოვანზე. ყველა ეს თვისება ობიან ყველს ნამდვილ ანტიეიჯ-პროდუქტად აქცევს.

### მარტივი სტიმულატორი

**ლურჯი ფერი აიძულებს ტვინს, იმუშაოს უკეთესად, დაადგინეს შვეიცარიელმა მეცნიერებმა.**

მოხალისეები, რომლებმაც ისურვეს მონაწილეობა მიეღოთ ექსპერიმენტში, დაჰყვეს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფის მონაწილეებს გაუმასპინძლდნენ მაგარი ყავით, რათა მოეხდინათ მათში ტვინის საქმიანობის გააქტიურება, მეორე ჯგუფი კი მოათავსეს ოთახში ინტერიერით, რომელიც შესრულებული იყო ლურჯ ტონებში. 10 წუთის შემდეგ ყველა მოხალისეს შესთავაზეს შეესრულებინათ სატესტო დაავადება საზრიანობასა და სწრაფ რეაქციაზე. გამოკვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ იმ ადამიანებმა, ვინც ლურჯ ოთახში იმყოფებოდნენ, ტესტებს თავი გაართვეს გაცილებით უკეთ, ვიდრე, მათ, ვინც ტესტის წინ ყავა დალია.

### არ შეიძლება უფრო წყნარად?

**თუნდაც სუსტი ხმაური არღვევს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალურ საქმიანობას, დაადგინეს შვედმა კარდიოლოგებმა.**

გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 110 კაცმა, რომლებიც ატარებდნენ პორტატიულ მონიტორებს– ისინი რეგისტრაციას გულის რიტმს უკეთებდნენ. მედიკოსები აფასებდნენ ხმაურის დონეს, რომელშიც ექსპერიმენტის მონაწილეები იმყოფებოდნენ. აღმოჩნდა, რომ გულის რიტმი ჩქარდება იმ პირობებშიც კი, როდესაც ხმაური 65 დეციბალს არ აჭარბებდა, რაც ხმამაღალ საუბარს შეესაბამება. ხმაურის შემცირების დროს გული მშვიდდება, სისხლძარღვები დუნდებიან.

ხმაურიან ვითარებაში ადამიანის გულის რიტმის ვარიაბელობა ხდება არასაკმარისი. სწორედ ეს ზრდის გულის შეტევის ალბათობას.

**ფაქტს კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ბერიძე:**

– ნებისმიერი რეგულარული დამატებითი ხმაური ააქტიურებს ვეგეტატური ნერვული სისტემის სიმპათიური განყოფილების ტონუსს, რომელსაც ჯერ მის მობილიზაციასთან, ადრენალინის, ნორადრენალინის გამოფრქვევასთან მივყავართ. ეს აისახება კიდეც გულის ვარიაბელური რიტმის შემცირებაში. გარკვეული დროის შემდეგ სტრესისგან დაცვის სისტემა იწურება და იწყება ადაპტაციის ჩაშლა, რაც არტერიული წნევის რყევებში, გულის რიტმისა და სხვა სიმპტომების დარღვევაში ვლინდება.

ამიტომ ხმაური, განსაკუთრებით ქალაქის პირობებში, სადაც იგი პრაქტიკულად მუდმივი ფონია, – ერთ-ერთი ყველაზე ავთვისებიანი ფაქტორია მათ შორის, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედებს.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „ივანიშვილს ნარკოტიკების გამო ვეკამათე“

– **ამბობს** ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, – მე მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო, რომელიც მოხდა ბიძინა ივანიშვილთან ექსპერტების შეხვედრის დროს. მე მაშინ რამდენიმე საკითხი დავაყენე, რომლის გამოც მომივიდა კამათი პრემიერთან. ალბათ, გახსოვთ და ერთ-ერთი საკითხი იყო სწორედ ეს – ნარკოტიკების თემა. მე ვთქვი სიტყვასიტყვით, რომ დღეს ნარკოტიკების ბუმია საქართველოში! მაშინ ეს ბიძინა ივანიშვილმა არ დაიჯერა და მითხრა, რომ ეს დაუმტკიცებელია და ტყუილია. მე მქონდა ზუსტი მონაცემები. მე არ ვლაპარაკობდი იმაზე, რომ ნარკოტიკები შემოდის, მე ზუსტად ბიოზე მქონდა საუბარი. ზუსტად იმ ნარკოტიკებზე მქონდა ლაპარაკი, რომელიც სააფთიაქო ქსელების მეშვეობით ვრცელდება. ჩემთვის დღეს ის კი არ არის განსაკუთრებით სასიამოვნო, რომ მართალი აღმოვჩნდი. სასიამოვნოა ის, რომ ამის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო.

**„ახალი თაობა“**

### ოთხი პარტია საარჩევნოდ ერთიანდება, ბურჯანაძეს ჯერ არ გადაუწყვეტია

**თვითმმართველობის** არჩევნებზე არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი, მინიმუმ, 4 პარტია, გაერთიანებაზე განცხადებას უახლოეს მომავალში გაავრცელებს. მართალია, ჯერ გადაწყვეტილი არ არის ვინ იქნება თბილისის მერობის კანდიდატი, თუმცა, როგორც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა აცხადებს, სხვა გვარებთან ერთად მისი კანდიდატურაც განიხილება. პარტიების კოალიციის საბოლოო შეთანხმება კი მალე გაირკვევა. შეუერთდება თუ არა მათ „დემოკრატიული საქართველო“, ნინო ბურჯანაძეს საბოლოოდ გადაწყვეტილი არა აქვს.

**„რეზონანსი“**

### „სამარშრუტო ტაქსებზე მონოპოლია უნდა დასრულდეს“

**„თავისუფალი საქართველო“** სამარშრუტო ტაქსების მძღოლების სამართლიან მოთხოვნებს მხარს უჭერს. როგორც პარტიის გენერალური მდივანი ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს, „ნაციონალური მოძრაობის მიერ მონოპოლიზებული ეს ბიზნესი კერძო სექტორს უნდა დაუბრუნდეს. მისი თქმით, ამ გზით შესაძლებელი გახდება ასობით ადამიანის კერძო ბიზნესში ჩართვა, დაქირავებულებისთვის გაჩნდება მეტი სამუშაო ადგილი, შრომის ღირსეული ანაზღაურებითა და პირობებით.

**„ალია“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

– **ძალიან** გთხოვთ, მიხედეთ თქვენს ძაღლს! გუშინ იგი ისე ყმუოდა, რომ ჩემი ქალიშვილი იძულებული გახდა, შეეწყვიტა სიმღერის გაკვეთილი!

– მაპატიეთ, მაგრამ თქვენმა ქალიშვილმა პირველმა დაიწყო!

* * *

– **დედიკო**, რატომ უკაკუნებს გამყიდველი ფანქარს თეფშებსა და ფინჯნებს? – ეკითხება გოგო დედას ჭურჭლეულის მაღაზიაში.



– ამით იგი მათს ხარისხს ამოწმებს, ხომ არ არის რომელიმე მათგანი გაბზარული ან წუნიანი.

– აა! აი, თურმე რატომ მიკაკუნებდა გუშინ მასწავლებელი თავში სახაზავს.

* * *

– **რა** უნდა გააკეთოს ნამდვილმა მამაკაცმა რომანტიკული ვახშმის შემდეგ?

– უნდა დაეხმაროს ქალს ვახშმისას შეძენილი კალორიების დაწვაში...

* * *

– **როგორ** უყურებთ იმას, რომ თქვენი ქმარი ერთთავად ქალებს დასდევს?

– მერე რა? ჩემს ძაღლს, მაგალითად, უყვარს მანქანების ადევნება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ, როგორც კი დაეწევა, მაშინვე საჭეს მიუჯდება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24